ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲨᲘ:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 11
(11 468)

9 – 12 თებერვალი, 2001 წ. ᲤᲐᲡᲘ 40 ᲗᲔᲗᲠᲘ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1934 ᲬᲚᲘᲡ 13 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ

# ᲜᲘᲜᲝ ᲡᲐᲚᲣᲥᲕᲐᲫᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ!



**როგორც ვიუწყებოდით, ნინო სალუქვაძე წლეულს სეზონის პირველ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად მიუნხენში გაემგზავრა პნევმატური იარაღიდან სროლაში უმაღლესი კატეგორიის საერთაშორისო ტურნირზე.**

ასპარეზობაში 27 ქვეყნის 103 რჩეული მსროლელი მონაწილეობდა. აქედან ქალი — 54, გოგონა — 49, ცხადია, ყველა ცნობილი ჩუბინი. პროგრამაში იყო მხოლოდ 10 მ-ზე შეჯიბრება 40 გასროლით ორ სტარტად.

***პირველი სტარტი*** 1988 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის და პრიზიორის ***ნინო სალუქვაძის გამარჯვებით დასრულდა*** — 388 ქ (97, 96, 97, 98) – ფინალი 101,0, ჯამში — 489,0, მეორე იყო გასულ მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებული რუსეთელი გალინა ბელაევა — 385 (95, 96, 97, 97) — ფინალი 100,4, ჯამში — 485,4, მესამე ადგილზე გავიდა 1992 წლის ოლიმპიური ჩემპიონი, ასევე რუსეთელი ოლგა კუზნეცოვა — 384 (99, 93, 95, 97) — ფინალი 100,6, ჯამში — 484,6.

***მეორე სტარტი.*** აქაც საპრიზო ადგილები ამ სამეულმა გაითამაშა. პირველი კუზნეცოვა იყო — 387 (98, 95, 96; 98) — ფინალი 102,7, ჯამში — 489,7, მეორე — ბელაევა — 389 (99, 96, 99, 95) — ფინალი 100,5, ჯამში — 489,5, მესამე — ***სალუქვაძე*** — 385 (97, 96, 97, 95), ფინალი 100,7, ჯამში — 485,7.

## SOS

## ᲒᲐᲫᲐᲠᲪᲕᲔᲡ ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲦᲚᲝᲑᲔᲠᲘᲫᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲔᲠᲥᲕᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲔᲑᲘ

დრომ საქართველოში ყველანაირ უზნეობას და სიგლახეს მოგვასწრო. საფლავების ძარცვაც ჩვეულებრივ მოვლენად იქცა და, ცხადია, გარეწარი არც იმას დაგიდევს, თუ ვის საფლავს მიადგება, ვის სამარედან წაიღებს რამდენიმე გრამ თუ კილოგრამ ფერად ლითონს. რედაქციაში აღელვებული გვეწვია წარსულში ცნობილი ველო-მოტომრბოლი ავთანდილ გუნია, რომელსაც საკუთარი თვალით უნახავს, რომ საბურთალოს პანთეონში ავთანდილ ღლობერიძის საფლავზე ამოტეხილია და წაღებულია ლითონის ბურთი, ხოლო საქართველოში ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ერთ-ერთი პატრიარქის, გიორგი მერკვილაძის საფლავის ქვიდან კი ასევე ამოტეხილია მეტალის ბარელიეფი...

## „ᲛᲠᲔᲢᲔᲑᲡ“ ᲕᲐᲚᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲓᲐᲣᲮᲓᲘᲐᲜ

როგორც იცით, 12 თებერვალს, ფიფას მიერ დაწესებული ვადა ეწურება საფეხბურთო კლუბ „დინამოს“, რომელსაც სწორედ ამ დროისთვის უნდა ჰქონდეს დაფარული „მრეტების“ ვალი 240 ათასი აშშ დოლარი და ფიფას მიერ დაწესებული ჯარიმა 5 ათასი შვეიცარული ფრანკი. რაღა დარჩა, დღეს პარასკევია, 9

3

## ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲨᲝᲗᲐ ᲩᲝᲩᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲐ!

გუშინ, გორის საკრებულომ საბოლოოდ დაუსვა წერტილი აქ გახმაურებულ ამბავს — 13-მა დეპუტატმა საკრებულოს აწ უკვე ყოფილი თავმჯდომარე, ამჯერად უკვე დაბეჯითებით გადააყენა თანამდებობიდან და მის ნაცვლად აირჩია ვეტერანი ცნობილი სპორტსმენი, ძიუდოში ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი შოთა ჩოჩიშვილი.

ვულოცავთ!



## ᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲘᲡ 100 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

3

3

## ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ XX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ ᲓᲐᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲡ

## ᲢᲝᲡᲢᲐᲝ ᲐᲮᲚᲝ ᲮᲔᲓᲘᲗ...

4



7

## ᲛᲝᲙᲠᲘᲕᲔᲗᲐ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲚᲔᲘᲚᲐ ᲓᲐ ᲯᲔᲙᲘ ᲤᲠᲔᲖᲔᲠᲘ ᲘᲡᲔᲕ ᲠᲘᲜᲒᲘᲡᲙᲔᲜ ᲘᲬᲔᲕᲔᲜ

ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘ

## ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲨᲣᲥ-ᲩᲠᲓᲘᲚᲘ

4

## ᲚᲝᲗᲐᲠ ᲨᲛᲘᲓᲘ ᲙᲠᲐᲛᲜᲘᲙᲡ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲮᲕᲐᲚᲘᲜᲓᲔᲚ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲐᲓ ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲕᲡ!

8

## ᲐᲚᲞᲘᲜᲘᲡᲢᲣᲠ ᲑᲐᲜᲐᲙ „ᲐᲘᲚᲐᲛᲐᲡ“ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐᲡ ᲪᲐᲒᲔᲠᲘᲡ, ᲚᲔᲜᲢᲔᲮᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲡᲢᲘᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲐ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠ-ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲞᲘᲠᲝᲑᲐᲓ

2



ᲮᲕᲐᲚ, 10 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ, ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲚᲣᲞᲣᲚ ᲛᲔᲝᲛᲐᲠᲗᲐ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲙᲐᲠᲐᲢᲔ-ᲓᲝᲨᲘ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ 15 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ.



ᲒᲘᲬᲕᲔᲕᲗ!

# ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲕᲘᲡ ᲬᲘᲜ:

## ᲐᲚᲑᲔᲠᲢᲝ ᲫᲐᲙᲔᲠᲝᲜᲘ: ᲙᲝᲡᲢᲐᲙᲣᲠᲢᲐ ᲝᲠᲘ ᲗᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲐᲙᲚᲓᲐ, ᲐᲮᲚᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲘᲛᲔᲓᲔᲑᲘ ᲙᲐᲚᲐᲫᲔᲖᲔᲐ...

**ოთხშაბათს, იტალიის თასის მატჩში „ფიორენტინასა“ და „მილანს“ შორის სერიოზული ტრავმა მიიღო როსონიერთა დაცვის ბურჯმა ალესანდრო კოსტაკურტამ. ექიმების დასკვნით, იგი ორი თვით გამოაკლდა თანაგუნდელებს. მილანელთა თავკაცი ალბერტო ძაკერონი იმედს არ კარგავს. გუშინ მან განაცხადა: „კოსტაკურტა ორი თვით გამოგვაკლდა. ახლა მთელი იმედები კალაძეზეა, მჯერა მისი შესაძლებლობების“.**

## ᲖᲘᲓᲐᲜᲘ ᲐᲚᲟᲘᲠᲔᲚ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲡ ᲓᲐᲔᲮᲛᲐᲠᲐ

ალჟირული წარმოშობის სახელგანთქმული ფეხბურთელი ზინედინ ზიდანი, რომელიც საფრანგეთის ნაკრების ღირსებას იცავს, თავის ისტორიულ სამშობლოში ჩავიდა და იქაურ ბავშვებს 300 ათასი დოლარის თანხის ტანსაცმელი და საკვები პროდუქტები ჩაუტანა.



ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

5,6

## ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲘ ᲐᲒᲝᲠᲓᲐ — «ᲡᲙᲣᲐᲓᲠᲐ ᲐᲫᲣᲠᲐᲡ» ᲛᲔᲙᲐᲠᲔ ᲧᲐᲚᲑᲘᲡᲛᲥᲜᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲒᲐ

**„პარმასა“ და იტალიის საფეხბურთო ნაკრების მეკარე ჯანლუიჯი ბუფონმა უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე ჩასარიცხად ყალბი დიპლომი გამოიყენა. მართალია, სპორტსმენმა გულწრფელად მოინანია დანაშაული, მაგრამ ფულად ჯარიმას მაინც ვერ გადაურჩა — იგი 3 ათას დოლარს გადაიხდის და, ცხადია, უნივერსიტეტსაც არ გააკარებენ.**

**ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ.** ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ. ᲐᲖᲘᲘᲡ ᲖᲝᲜᲐ. X ᲯᲒᲣᲤᲘ: საუდის არაბეთი — მონღოლეთი 6-0 (5-0); ვიეტნამი — ბანგლადეში 0-0.

**ᲡᲐᲛᲗᲝᲛᲔᲗᲮᲘᲚᲐᲛᲣᲠᲔᲝᲑᲐ ● ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ.** გიგანტური სლალომი (ვაჟები): 1. მიხაელ ფონ გრიუნიგენი (შვეიცარია) 2:23,80, 2. კეტილ-ანდრე ომოტი (ნორვეგია) +0,35, 3. ფრედერიკ კოვი (საფრანგეთი) +0.38.

**ᲙᲠᲘᲕᲘ.** მძიმეწონსანი მსოფლიო ჩემპიონი ინგლისელი ლენოქს ლიუისი თავის ტიტულს პირველად დაიცავს აფრიკაში — იოხანესბურგში.

**ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ.** მოსკოვის „დინამოს“ ქალთა გუნდმა, ზედიზედ, მეათე მარცხი განიცადა ევრო თასზე, ამჯერად — უნგრეთის „მიზუ პეჩთან“ — 54:79.

**ᲩᲝᲑᲒᲣᲠᲗᲘ.** "PARIZ OPEN". II ᲬᲠᲔ. მორესმო (საფრანგეთი,8) — სერნა (ესპანეთი) 4:6, 6:3, 6:4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

## მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 6 თვე დარჩა

## თვის სპონსორი



„ლელომ“ კვლავ განაახლა იმ სპონსორთა გამოვლენა და გაცნობა საზოგადოებრიობისათვის, რომლებმაც [illegible] განმავლობაში, ყველაზე თვალსაჩინო შემწეობა გამოიჩინეს ქართული სპორტისადმი. 2001 წლის იანვარში რედაქციამ გამარჯვებულად სცნო ცნობილი ბიზნესმენი გოჩა ძასოხოვი, რომელიც ამჟამად საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტიცაა.

# „აილამა“ — ქვეყნის სავიზიტო ბარათი

ჩემთვის განსაკუთრებით მძიმე და მტკივნეულია „აილამაზე“ ლაპარაკი, ვინაიდან — მაპატიოს მკითხველმა, კადნიერებაში ნუ ჩამომართმევთ — თავს ჭირისუფლის მდგომარეობაში ვგრძნობ: ბანაკის დაარსებიდან (1965 წ) მის ბოლო სეზონამდე (1992 წ.) ჩემი ალპინისტური საქმიანობა ძირითადად „აილამასთან“ იყო დაკავშირებული — ჯერ როგორც მთამსვლელი-სპორტსმენის, შემდეგ ინსტრუქტორის, სამაშველო სამსახურისა და სასწავლო ნაწილის უფროსის.

„აილამა“ მართლაც გამორჩეული იყო საბჭოთა კავშირის 25 ალპინისტურ ბაზას შორის არა მარტო სპორტული მაჩვენებლებით, არამედ უსაფრთხოების (ნაკლებხიფათიანის სახელით) თვალსაზრისით. იგი გამორჩეული იყო თავისი სტრატეგიული მდებარეობით — კავკასიონის მთავარი ქედის ძირში, ზემო და ქვემო სვანეთის, ყაბარდო-ბალყარეთთან მოსაზღვრე რაიონში ალპინისტური მარშრუტების სირთულითა და ნაირგვარობით, მწვერვალთა სიმრავლითა და სიახლოვით. მაგრამ პოპულარობის მთავარი მიზეზი, მე მგონი, მაინც იყო ქართული სტუმართმოყვარეობის პრინციპებზე აგებული სითბო და გულისხმიერება, რომელსაც მთელი მისი კოლექტივი (დირექტორიდან დამლაგებლამდე) იჩენდა საგზურით ჩამოსული სპორტსმენისა თუ უამინდობისას, თავშესაფრის მაძიებელი შემთხვევითი მეგზურის მიმართ...

იმ ავბედითი 1993 წლის ოქტომბერში, აფხაზეთიდან ლტოლვილთა ევაკუაციის ტრასაზე, დახმარების პუნქტების ორგანიზაციის მიზნით, ექიმთა და სანიტართა ჯგუფთან ერთად „აილამაში“ გავემგზავრეთ. მაგრამ ცენტრალური შტაბის (რომელიც ქუთაისში იყო) განკარგულებით ჯერ ჭუბერში, ხოლო შემდგ საკენში აღმოვჩნდით, „აილამაში“ კი მხოლოდ ორი წლის შემდეგ (1995 წ. სექტემბერში) მოვხვდი და, რაც იქ ვიხილე — უკვე აღწერილია „ლელოს“ ამასწინანდელ სარედაქციო წერილში: „უწესრიგოდ მიმოფანტულ ნანგრევებსა და ნაგვის გროვაში აღმოვაჩინე სასწავლო სტენდებიდან ჩამოყრილი ორიოდე ფოტოსურათი, რომელთა გამოყენება კიდევ შეიძლებოდა თვალსაჩინოებისათვის“...

ყველაფერი ეს რეალობაა, მაგრამ მოდით ცხოვრებას ოპტიმისტის თვალით შევხედოთ: ბანაკი (ბაზა) განთავსებული იყო გასული საუკუნის 30-იან წლებში ნაშენებ ბარაკებში, რომელიც სრულიად ამორტიზებული იყო როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად და დანგრევის პირას იყო. 80-იანი წლების ბოლოსათვის უკვე დამუშავებული გვქონდა მისი რეკონსტრუქციის რამდენიმე ვარიანტი და მშენებლობაც დაწყებული იყო. ამიტომ ძველის დანგრევა დიდ ტრაგედიად არ უნდა მივიჩნიოთ (საწყენია მხოლოდ ის, რომ განადგურდა ინვენტარი და დაიკარგა წლობით ნაგროვები სასწავლო მეთოდური ზოგიერთი უნიკალური ექსპონატი). განვაგრძოთ შენება, რათა „აილამა“ კვლავ ჩადგეს ჩვენი ქვეყნის სამსახურში. ამას ელოდება ალპინისტური სამყარო არა მარტო საქართველოში, არამედ უცხოეთშიც (მიუხედავად თითქმის 10-წლიანი იძულებითი ინტერვალისა, დღესაც ვღებულობ წერილებს სხვადასხვა ქვეყნიდან შეკითხვებით — „მუშაობს თუ არა „აილამა“, „როგორია კრიმინოგენული მდგომარეობა და ა.შ.); ამას ელოდება ცაგერის, ლენტეხისა და მესტიის საზოგადოებრიობა, რადგან ბანაკის აღორძინება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს რეგიონის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას, განაახლებს მის ინფრასტრუქტურას.



კავკასიონი იყო და კვლავ რჩება პოპულარული მთამსვლელებისა და სამთო ტურისტებისათვის, მისი ტექნიკური სირთულის, ესთეტიურობისა და ევროპის ინდუსტრიულ ცენტრებთან სიახლოვის გამო. მისი სამხრეთი ფერდობებისადმი ინტერესს აძლიერებს შავი ზღვის სიახლოვე. აქ კი „აილამას“ ჯერჯერობით ალტერნატივა არ გააჩნია: ორიგინალურობასა და ეგზოტიკურობასთან ერთად, შესწავლილი და დამუშავებულია მარშრუტები და, რაც მთავარია, უკვე ჩამოყალიბებულია გარკვეული ტრადიცია — „აილამაში“ გავლილი საწვრთნელი შეკრების შემდეგ ჩვენი მთამსვლელები საკავშირო ჩემპიონატებიდან, როგორც წესი, მედლებით ბრუნდებოდნენ, ხოლო ხშირად ეს მედლები თვით აილამისა და მიმდებარე მწვერვალების ფერდობებიდან „ჩამოჰქონდათ“.

„აილამა“ ჩვენი სიამაყეა, ჩვენი სავიზიტო ბარათია და იგი ჩვენი ქვეყნის სავიზიტო ბარათიც უნდა გახდეს — ისევე, როგორც უშბა და მყინვარწვერი, ან თუნდაც მამადავითის მთა თავისი აჟურული შენობით (ნაგებობით).

**ვაჟა მათითაიშვილი,**
**ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ალპინიზმის კათედრის მასწავლებელი.**

## ტურიზმი

## სილამაზის კონკურსი — ტურიზმის სტიმული!

ტურიზმის პოტენციური შესაძლებლობების გამოუყენებლობა თეთრ ლაქად რჩება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში. ტურიზმის სახელმწიფო დეპარტამენტი (თავმჯდომარე ვაჟა შუბლაძე) ყველა ღონეს მიმართავს მდგომარეობის გამოსასწორებლად, თუმცა მიზეზთა გამო, ვერა და ვერ იბრუნა პირი ზღაპრულ საქართველოსკენ მსოფლიო ტურიზმმა. არადა, დროდადრო ჩვენში ჩატარებული სხვადასხვა თავყრილობები, უცხოელებს შესაძლებლობას აძლევს საკუთარი თვალით იხილონ რა მარგალიტთან ექნებათ საქმე ტურისტებს. ახალი სტიმული საქართველოში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებას უნდა მისცეს სილამაზის საერთაშორისო კონკურსმა დევიზით: „მის აბრეშუმის გზა“. ეს ღონისძიება 26-29 აპრილს თბილისში კავკასიის მესამე საერთაშორისო ტურისტული ბაზრობის ჩარჩოში იგეგმება.

**სპორტული ცეკვები** **საქართველოს ჩემპიონატი**

## გრაციის მოციქულები

*(გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ „ლელო“ №10)*

***კატეგორია იუნიორი — 1 (12-14 წ) 10 ცეკვა:*** 1. შალვა ბიბილური — თეონა ხურცილავა, 2. ნოდარ შონია — რუსუდან შონია, 3. ნიკა გაჩავა — ლეილა ხურცილავა (სამივე — „თელა“), ***კატეგორია იუნიორი — 2 (14-16 წ). ლათინურ-ამერიკული პროგრამა:*** 1. რაფაელ ანანიკიანი — ლიკა ჭაბუკიანი („თელა“), 2. გოგიტა გონგაძე — მზია ორველაშვილი („ელეგია“), 3. გიორგი გაჩეჩილაძე — ლეილა ჩქარეული („თელა“); ***უფროსების ჯგუფი (16 წ. ზევით). ეროვნული ცეკვების პროგრამა:*** 1. დავით კულუმბეგაშვილი — ია კვირიკაშვილი, 2. მანუჩარ მანჯავიძე — ია სოსოზნიშვილი, 3. ზურაბ კიკაბიძე — თინიკო გუგავა (სამივე — „თელა“).

ჩემპიონატის ორგანიზატორი იყო საქართველოს სპორტული ცეკვების ეროვნული ფედერაცია. შეჯიბრებაში 90-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. გამარჯვებულთა და პრიზიორთა ხელმძღვანელები არიან: ს/კ „თელა“ — ლარისა და თენგიზ გაჩეჩილაძეები, ს/კ „ელეგია“ — ელენე და გია ორველაშვილები.

***18,19,20 მაისს თბილისში ჩატარდება ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი „კავკასიის თასი — 2001“ INTERNATIONAL OPEN-ის სტატუსით. ტურნირში მონაწილეობის სურვილი დღემდე 14 ქვეყნის წარმომადგენლებმა გამოთქვეს.***

**თავისუფალი ჭიდაობა** **ხსოვნის ტურნირი**

## მხოლოდ ერთ წონაში დააკლდათ მონაწილე

თბილისში, „შევარდენის“ საჭიდაო დარბაზში ამ დღეებში თავისუფალ ჭიდაობაში წლევანდელი სპორტული სეზონის პირველი შეჯიბრება გამართეს 1986-88 წლებში დაბადებულმა ჭაბუკმა ფალავნებმა. ეს იყო საქართველოს ტურნირი, რომელიც საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის ნოდარ ხუგაშვილის და სსრ კავშირის პრიზიორის ნოშრევან ონიკაშვილის ხსოვნას მიეძღვნა. მონაწილეობდა კასპის, ოლიმპიური რეზერვის სპორტული სასწავლებლის, ლ. თედიაშვილის სახელობის კლუბის, სპორტსაზოგადოებების „მართვეს“, „ლოკომოტივის“, „დინამოს“ და „შევარდენის“ 105 წარმომადგენელი.

**კვარცხლბეკი.** ***29 კგ:*** 1. თ. რაზმაძე, 2. ვ. გაბაძე (ორივე — კასპი), 3. ვ. გოგოლაშვილი („მართვე“); ***32 კგ:*** 1. გ. ედიშერაშვილი, 2. ი. ოქრაძე (ორივე — „ლოკომოტივი“), 3. გ. წამალაძე („მართვე“); ***38 კგ:*** 1. ნ. ჩალაძე (თედიაშვილის კლუბი), 2. გ. ვარდანაშვილი (ორს), 3. ბ. ბუქური („მართვე“); ***42 კგ:*** 1. ბ. ბუქური (თედ. კლ.), 2. ო. დადუნაშვილი („მართვე“), 3. გ. ლომთათიძე (ორს); ***50 კგ:*** 1. ბ. ჭელიძე (ორს), 2. ო. დადუნაშვილი („მართვე“, 3. გ. რეგვაძე (ორს); ***54 კგ:*** 1. ს. ჯიჯავაძე (ორს), 2. გ. ფირცხალავა („მართვე“), 3. ა. სონღულაშვილი („შევარდენი“); ***58 კგ:*** 1. მ. არევაძე (ორს), 2. გ. ლობჟანიძე („მართვე“), 3. გ. ნატროშვილი (კასპი); ***63 კგ:*** 1. ი. კაპანაძე („შევარდენი“), 2. ნ. ჭელიძე (ორს), 3. გ. მირზიკაშვილი („მართვე“); ***69 კგ:*** 1. ნ. გაგნიძე, 2. ბ. ფრუიძე (ორივე — თედ. კლ.), 3. დ. მოძმანაშვილი („ლოკომოტივი“); ***76 კგ:*** 1. ს. ცაბაძე, 2. გ. ხუტაშვილი (ორივე — „შევარდენი“), მესამე მონაწილე არ ყოფილა; ***85 კგ:*** 1. ა. ხუციშვილი, 2. ი. ჩილოშვილი, 3. ლ. ლემანიძე (სამივე — „შევარდენი“); ***+85 კგ:*** 1. ა. ქოვრელი („შევარდენი“), 2. გ. ხუჭუა (ორს), ლ. ხოხაშვილი (თედ. კლ).



*სურათზე: ტურნირში გამარჯვებულები და პრიზიორები.*

*რობერტ ბაგოიანის ფოტო*

## ტურნირი კიცხში

გასული საუკუნის ბოლოს ხარაგაულის რაიონის სოფ. კიცხში მესამედ ჩატარდა აფხაზეთში დაღუპული ფალავნის ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონის საშა ბერიძის ხსოვნის ტურნირი.

სოფელში თავი მოიყარეს სპორტის ამ სახეობის რჩეულმა მოზარდმა სპორტსმენებმა თბილსიდან, ბორჯომიდან, ქუთაისიდან, ბაღდადიდან, ზესტაფონიდან, თერჯოლიდან. ხარაგაულს კი სპორტული სკოლისა და სექციების აღსაზრდელები წარმოადგენდნენ, სულ ხალიჩაზე 170 მოჭიდავე გამოვიდა. უმცროს ასაკში პირველობა არავის დაუთმეს კიცხელმა ავთანდილ ოკრიბელაშვილმა, ხარაგაულელებმა მამუკა გურგენიძემ, ვახტანგ ჭანკვეტაძემ, დავით იჩქიტიძემ და დავით ტაბატაძემ, ქუთაისელებმა სულხან ხარშილაძემ, ოთარ დვალიშვილმა, სერგო ნინუამ, გიორგი ცირეკიძემ და ბუბა ჩივაძემ. ბორჯომელებმა ლევან ლაშხმა, ივანე მუმლაძემ და ნოდარ გეგეშიძემ. საშუალო ასაკში: თორნიკე ჯანელიძემ, გიორგი ჩხენკელმა, აკაკი ქობულაძემ, გიორგი მესხმა, მიხეილ ბააკაშვილმა, ემზარ ტყეშელაშვილმა და ზურაბ ხაჭაპურიძემ (ყველა — ქუთაისი), ვახტანგ თურქაძემ (თერჯოლა), მამუკა ბლიაძემ (ბორჯომი). მთავარი პრიზი გადაეცა დავით ტაბატაძეს (ხარაგაული).

**ჰენრი შარიძაძე**


## რეგისტრაცია და აუდიტი ხელმისაწვდომ ფასებში

შ.პ.ს. „გუმათე“ გთავაზობთ ფირმების რეგისტრაციას (შპს 220 $, ინდივიდუალური საწარმო 80 $), აუდიტს და ბიზნეს-გეგმების შედგენას, როგორც სპორტული, ისე ნებისმიერი მსურველებისთვის. ტელ: 98-80-32; 99-56-14.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო ბიულეტენი

# „მრეტებს“ ვალს დღეს გადაუხდიან

(პირველი გვერდიდან)

თებერვალი, წინ შაბათი და კვირაა. მოესწრება კი ყველაფერი?

გუშინ, ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად ვეწვიეთ სფფ-ს გენერალურ მდივანს ვალერი ჩოლარიას.

– როგორც დამარწმუნეს, ყველაფერი გაკეთდა, რომ ვალი დროულად დაიფაროს. მთავარი ახლა სწორედ ეს არის. პარასკევს, 9 თებერვალს, შეთანხმებისამებრ, ფიზკულტურულ-სპორტულმა კლუბმა „დინამომ“, რომელიც საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ მეპატრონე გახდა, სფფ-ში უნდა წარმოადგინოს ვალის გადარიცხვის საბუთი. ვფიქრობ ყველაფერი კარგად იქნება – თქვა ვ. ჩოლარიამ.

● *ხდება ხოლმე, ვთქვათ და... გადარიცხვაში რაღაც იალღში მოხდა, ანდა, სულაც ვერ მიაღწია თანხამ ერთ-ორ დღეში ადრესატამდე...*

– 12 თებერვალს თავად ვიქნები ციურიხში და თუ საჭირო გახდა, ფიფაში წარვადგენ თანხის გადარიცხვის ქსეროასლს.

● *ამის გულისთვის მიდიხართ შვეიცარიაში?*

– არა, უბრალოდ, დამთხვევაა. 12-15 თებერვალს უეფაში მთელი რიგი ღონისძიებები იგეგმება ევროპის ქვეყნების ეროვნული ფედერაციების მონაწილეობით.

● *რაიმე მნიშვნელოვანია?*

– ყველაფერი მნიშვნელოვანია. ჩვენთვის განსაკუთრებით ისაა საყურადღებო, რომ 13 თებერვალს, უეფას განვითარების კომიტეტის სხდომაზე დამტკიცდება სფფ-ს ახალი ოფისის პროექტი. 14-ში ადმინისტრაციული კომიტეტი შეიკრიბება ექსპერტებთან ერთად და მე, როგორც უკვე ე.წ. ადმინისტრაციული პანელის ექსპერტი, ამ კომიტეტის მუშაობაში მივიღებ მონაწილეობას.

კიდევ ვიმეორებ, ჩემთვის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იქნება დასრულდეს „დინამო“ – „მრეტების“ საქმე, გაუქმდეს ვეტო ტრანსფერზე და დღის წესრიგიდან მოიხსნას მოსალოდნელი გართულებები.

თ. თომაშვილი



ელდარ მაღლაზიშვილის ფოტოები

# უეფას მაღალჩინოსანმა სფფ-ს ბარჯა შეუქო

6-7 თებერვალს სასტუმრო „თორში“ გამართულ უეფას ადმინისტრაციულ პროგრეს-კურსს და თბილისში გატარებულ პერიოდს, რომელსაც 40-მდე ფეხბურთის მესვეური დაესწრო, მეტად მაღალი შეფასება მისცა უეფას გენერალური მდივნის მოადგილემ მარკუს შტუდერმა. როგორც, ამას წინათ, ექიმთა პროგრეს-კურსების ხელმძღვანელმა დოქტორმა კროცფელდმა, ვერც შტრუდერმა დამალა აღფრთოვანება მის მიმართ დასმული შეკითხვებიდან გამომდინარე პროგრეს-კურსების მონაწილეთა ცოდნის გამო. მოვლენებს გავუსწრებ და როგორც სფფ-ს მუშაკი, სიამაყით და სიამოვნებით ვიტყვი, რომ მაღალჩინოსანმა სტუმარმა მას შემდეგ, რაც მოინახულა სფფ-ს დროებითი ოფისი, აგრეთვე ახალი ოფისის ადგილი, ეროვნული ნაკრების ტერიტორია, ნაკრების ავტობუსი, მიკროავტობუსი და „ლოტის“ ფორმა, განაცხადა, რომ უეფაში შემავალი განვითარებადი ქვეყნების ფედერაციებიდან საქართველო ყველაზე კარგ მდგომარეობაშიაო...

ეს რაც შეეხება პოზიტიურ მხარეს. თუმცა, არ შეიძლება არ აღინიშნოს, უმაღლესი ლიგის ზოგიერთი კლუბის დამოკიდებულება უეფას პროგრეს-კურსისადმი: ფოთის „კოლხეთმა“ წარმომადგენელი საერთოდ არ გამოაგზავნა, თბილისის „ლოკომოტივიდან“ და ქუთაისის „ტორპედოდან“ კი არც ერთი ხელმძღვანელი მუშაკი არ იყო. ჩვენმა ორმა ლიდერმა კლუბმა მხოლოდ თანამშრომლები მოავლინა...

ნიშანდობლივი იყო შტუდერის კატეგორიული ტონი საქართველოში შესარჩევი მატჩების ჩატარების თაობაზე: უეფამ ყველაფერი გააკეთა სტადიონის რეკონსტრუქციისათვის და თუკი ქალაქის მერია 28 მარტამდე განათების პრობლემას არ გადაწყვეტს, მაშინ თბილისში მატჩი არ ჩატარდება! შტუდერმა გაიხსენა ამ რამდენიმე წლის წინათ საქართველოს პრეზიდენტთან, ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრა. პრეზიდენტის კითხვაზე: რა უნდა ვიღონო ქართული ფეხბურთის განვითარებისთვისო, უეფას წარმომადგენლებმა უპასუხეს: ყველაფერი იღონეთ, რომ თქვენი ნაკრები ევროპის ან მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიდეს, რადგან ამით მთელი მსოფლიო გაიცნობს თქვენს სამშობლოს და აღარც ამერიკის ჯორჯია ეგონებით და აღარც კოკა-კოლასთან ექნებათ ასოციაციაო.



მარკუს შტუდერი (პირველ რიგში მარცხნიდან მესამე) მასპინძლებთან და კურსების მსმენელებთან ერთად

ძირითადი თემები, რა თქმა უნდა, კლუბების ლიცენზირება და ფეხბურთელთა ტრანსფერები იყო. ამ უკანასკნელ საკითხზე შტუდერმა ვრცლად ილაპარაკა და აღნიშნა, ყველაფერი რამდენიმე დღეში, 16 თებერვალს გადაწყდება, როცა ფიფა, უეფა და ევროსაბჭო ერთმანეთს შეხვდებიან და საბოლოოდ მოილაპარაკებენ სატრანსფერო სისტემაზე. ისე კი, შტუდერის აზრით, საქართველოსთვის, რა თქმა უნდა, უპრიანია საკუთარი ფეხბურთელები აღზარდოს და გაყიდოს, რადგან ქართულ კლუბებს ლეგიონერთა საყიდლად კარგა ხანს არ ეყოფათ თანხებიო.

რაც შეეხება ლიცენზირებას, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სფფ-მ დროს გაასწრო და ჯერ კიდევ ორი წლის წინათ წამოაყენა კლუბების ლიცენზირების იდეა (სფფ-ს ბიულეტენი „ქართული ფეხბურთი“ №1. 1999 წლის იანვარი) და ჩემპიონატის წინ სულ უფრო და უფრო წინ სწევდა ამ იდეას. ახლა კი, უეფას პირდაპირ დავალებას შედარებით მომზადებულნი შევხვდით და მინიმალურ ლიცენზიას, იმედია, უმაღლესი ლიგის ყველა კლუბი დააკმაყოფილებს.

მიხეილ საბახტარიშვილი

## აი, ისინი, ვინც პროგრეს-კურსი გაიარა და დიპლომი მიიღო:

მურად ანჯაფარიძე (აფხ. ფედერაცია)
ანატოლი მილჩენკო (სფფ)
ავთანდილ კოკაია (თბილ. ფედერაცია)
გია ფირცხალავა (სფფ)
ლევან ყიფიანი (სფფ)
მამუკა კვარაცხელია (სფფ)
ოთარ გუნთაძე (სფფ)
გერა ხეცურიანი (სფფ)
რევაზ შენგელია (სფფ)
ამირან კაჭახიძე (კლუბი „სიონი“)
ზაზა ფალავანდიშვილი („დინამო“ ბთ.)
ზურაბ ბერაძე (კლუბი თსუ)
გურამ ნოზაძე (კლუბი „დილა“)
დავით სამუშია (კლუბი „ვიტ-ჯორჯია“)
როინ ჩხაიძე (კლუბი „ლოკომოტივი“)
თამაზ გაბრიჭიძე (კლუბი „გორდა“)
გულსუნდა დონდუა (კლუბი „გურია“)
ჯემალ გოგია (სამეგ. ფეხბ. ფედ.)
ფაცო ნასუაშვილი (კლუბი „ცხინვალი“)
დავით ფურცელაძე (კლუბი „მერანი“)
ნუგზარ მდივანი (კლუბი „მეტალურგი“)
კახა ჭუმბურიძე (სკოლა „საბურთალო“)
მამუკა საღარეიშვილი (კლ. „სამგურ.“)
დავით პეტრიაშვილი (სფფ)
გია ისიანი (სფფ)
გია იმნაძე (კლუბი „დინამო“ თბ.).

# XX საუკუნის სიმბოლური ნაკრები აფხაზთა ვერსიით

აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების სპორტკომიტეტის ინიციატივით გასული საუკუნის ბოლოს გაიმართა რეფერენდუმი, რომლის მიზანი გახლდათ დასახელებულიყო XX საუკუნის აფხაზეთის სიმბოლური ნაკრები გუნდი ფეხბურთში.

11 საუკეთესოთა შორის მოხვდნენ: ნიკიტა სიმონიანი, ვლადიმერ მარღანია, ნიაზ ძიაპშიპა, ვიტალი დარასელია, ახრიკ ცვეიბა, ავთანდილ ღოღობერიძე, გიორგი სიჭინავა, ვლადიმერ ბარქაია, გიორგი გრამატიკოპულო, ალექსანდრე ილიადი, გოჩა გავაშელი.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულ სიმბოლურ ნაკრებში ვერ მოხვდა საქვეყნოდ აღიარებული ბევრი ცნობილი ფეხბურთელი. მათ შორის მეკარეები: ვალტერ სანაია და ამირან ტყებუჩავა, მცველი ვიქტორ [illegible], თავდამსხმელები: გიგა ნორაკიძე, ბორის ხასაია და სხვები — ყველა მათგანი თავის დროზე იცავდა თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის ღირსებას.

დემურ ტორაძე,
გაგრის გაზეთ „ავანგარდის“ სპორტული მიმომხილველი

# „ვიტ-ჯორჯია“ მზადებას განაგრძობს

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატისათვის თბილისის „ვიტ ჯორჯია“ იტალიაში განაგრძობს მზადებას. „Norcia Cup“-ის ტურნირის მეოთხედფინალში იგი ბულგარეთის „ლიტექსს“ შეხვდა და მინიმალური ანგარიშით 0-1 დამარცხდა. სამშობლოში გამომგზავრებამდე საქართველოს შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი კიდევ რამდენიმე ამხანაგურ მატჩს გამართავს. უახლოესი 10 თებერვლისათვისაა დაგეგმილი – მისი მეტოქე ზაპოროჟიეს „მეტალურგი“ იქნება.

**საფეხბურთო კლუბი „ცხინვალი“ სამძიმარს უცხადებს ამავე კლუბის ფეხბურთელ დავით ხოხობაშვილს ძმის — ლევანის გარდაცვალების გამო**

## გამოხმაურება

### „ლელოს“ და „ქართული ფეხბურთის“ რედაქციებს

# აღვნიშნოთ საქართველოში ფეხბურთის დანერგვის 100 წლისთავი!

დიდი ინტერესით გავეცანით თქვენს პუბლიკაციებს საქართველოში ფეხბურთის დანერგვიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით. კარგი საქმეა, სადავო რა არის, ვერ გაგვიგია, თუკი ენციკლოპედია და სხვა წყაროები ერთხმად მიგვითითებენ, რომ „საქართველოში ფეხბურთის თამაში დაინერგა XX საუკუნის დამდეგს“. ჩვენც ავდგეთ და XXI საუკუნის დამდეგს „საქართველოში ფეხბურთის დანერგვის 100 წელი“ ვიზეიმოთ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ბევრი კარგი საქმე გააკეთა, რითაც უთუოდ დატოვებს წარუშლელ კვალს საქართველოს საფეხბურთო ცხოვრებაში და დიდებული იქნება თუ ამ საიუბილეო თარიღის აღნიშვნასაც მიითვლის თავის მოღვაწეობის აქტივში. ალბათ, დროა შეიქმნას იუბილეს მოსამზადებელი ჯგუფი ან საორგანიზაციო კომიტეტი. განზე, ცხადია, არც ხელისუფლება დარჩება. ქართული ფეხბურთის ისტორია ხომ ჩვენი სიამაყეა.

*ლადო ცისკარიძე, მირიან კალმახელიძე, ნოდარ ბერიძე, ვაჟა მინდელი და სხვა. (თბილისი)*

# ქართველებს და რუმინელებს ნორვეგიელი უმსაჯებს

**28 მარტს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს საქართველოსა და რუმინეთის ეროვნულ ნაკრებთა შორის ნორვეგიელი მსაჯები მოემსახურებიან. შეხვედრის მთავარი არბიტრი იქნება რუნე პედერსენი, ასისტენტები — ერიკ რასტადი და სტეინარ ჰოლვიკი, მეოთხე მსაჯი — ტერიე ჰაუგე.**

# მსაჯები – „მამაცი გულების“ სამშობლოდან

საქართველოსა და რუმინეთის ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, 27 მარტს, შოტლანდიელები მოემსახურებიან. მთავარი მსაჯია ალან ფრილანდი, ასისტენტები ვილსონ ირვინი და რობერტ ჯონსტონი, მეოთხე მსაჯი კი კოლინ ჰარდია.

# ქართველებს რუმინელი დაზვერავს

საქართველოსა და უკრაინის ეროვნულ ნაკრებთა ამხანაგურ მატჩს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ჩვენი ბალკანელი მეტოქეებიც მიადევნებენ თვალს. რუმინელები მზვერავად ნაკრების მთავარი მწვრთნელის ლადისლაო ბოლონის ასისტენტს დან აპოლზანს მოავლენენ. სტუმარი თბილისს 13 თებერვალს ესტუმრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალსაზრისი

# ეროვნული ჩემპიონატის შუქ-ჩრდილი

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატი მძიმე კრიზისს თავს რომ აღწევს, კარგად ჩანს შეუიარაღებელი თვალითაც. ამაზე მეტყველებს ჩემპიონატის პირველი წრის დაძაბულობა, რომელმაც თითქმის კულმინაციურ წერტილს მიაღწია და ნათლად აისახა გათამაშების ცხრილში, რაც განაპირობა სფფ-ს მიერ განხორციელებულმა ჩემპიონატის რეორგანიზაციამ — კერძოდ, მისი სტრუქტურის დანიური ვარიანტის დანერგვამ, რომლის დროსაც ჩემპიონატის განმავლობაში უძლიერეს გუნდებს ერთმანეთში 4-ჯერ უხდებათ პაექრობა. მართალია, ბოლო მე-11 ეროვნულ ჩემპიონატში თბილისის „დინამომ“ რამდენადმე დათმო პოზიცია და ლიდერის როლი ქუთაისის „ტორპედოს“ დაუთმო, მაგრამ ყოველივე ამან ნაკლებად იქონია გავლენა დინამოელთა ძალზე ახალგაზრდული გუნდის სათამაშო ხარისხზე, ახალი მწვრთნელის რევაზ არველაძის ხელმძღვანელობით „დინამო“ თანდათან იბრუნებს ძველ ტრადიციებს, კერძოდ, იმპროვიზაციას, რაც დაფუძნებულია მოთამაშეთა ინდივიდუალურ ოსტატობაზე, რაც გამოარჩევდა თბილისის „დინამოს“ სხვა დანარჩენებისგან. ამის დასტურად გამოდგება თბილისის „დინამოს“ ახალგაზრდული კოლექტივის საშემოდგომო ჩემპიონატის ერთ-ერთი ბოლო კალენდარული მატჩი ქუთაისის „ტორპედოსთან“ მისივე მოედანზე, სადაც დინამოელებმა ყველა რგოლში დაჩაგრეს ტიტულოვანი მოწინააღმდეგე და ღირსეულ გამარჯვებას მიაღწიეს გადელიას მიერ გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით. „დინამოს“ ძალუძს ჩემპიონობისათვის ბრძოლა თუ დაძლეული იქნა გუნდის ე.წ. „აქილევსის ქუსლი“ — კადრების დენადობა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ დღეისდღეობით თბილისის „დინამოს“ მაისურის მორგება ვერ აკმაყოფილებს ახალგაზრდა ფეხბურთელთა უმრავლესობას, რომლებსაც ისევ და ისევ „ტყისკენ“ უჭირავთ თვალი. განა თბილისის „დინამოს“ ღირსებას დღეს არ უნდა იცავდეს ალექსიძე, აშვეთია, გოგობერიშვილი, რომ არაფერი ვთქვათ კახი კალაძეზე და გიორგი დემეტრაძეზე? ადრე თუ გვიან თბილისის „დინამო“ უნდა გახდეს ქართული ფეხბურთის ფლაგმანი. წინააღმდეგ შემთხვევაში თბილისის „დინამოს“ მარტო სახელი შემორჩება.

კარგი იქნება თუ მომავალი საფეხბურთო ჩემპიონატის დებულებაში შევა კორექტივები, კერძოდ — თბილისი წარმოდგენილი იქნას უმაღლეს ლიგაში არა უმეტეს 3 გუნდით — დაინერგოს ე.წ. ლიმიტი. თუ არა და, რა გამოვიდა? მაშინ, როდესაც ქართველ ფეხბურთელთა ნახევარზე მეტი საზღვარგარეთის კლუბებში გამოდის, 5 გუნდი, ვფიქრობ, მეტისმეტია — დაბალ ლიგებში ასეთი შეზღუდვა, ცხადია, უმართებულო იქნება. სფფ-მ უნდა იზრუნოს უმაღლეს ლიგაში სათადარიგო შემადგენლობათა ასპარეზობაზეც, ურომლისოდაც რაიმე სრულფასოვანი რეზერვის შექმნაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

იმედია ამ და სხვა ღონისძიებათა განხორციელებით ქართული ფეხბურთი აღიდგენს დაკარგულ პრესტიჟს.

დემურ ტორაძე

## კოლხებმა ბულგარეთში ორი მატჩი ითამაშეს

**ბულგარეთში შეკრებაზე მყოფმა ფოთის „კოლხეთი-1913“-მა ამ დღეებში ორი ამხანაგური მატჩი ითამაშა სტავროპოლის „დინამოსთან“. პირველი შეხვედრა დასრულდა ფრედ 2-2 (აღსანიშნავია, რომ ფოთელები 0-2-ს აგებდნენ და მხოლოდ ბოლო წუთებში შეძლეს ანგარიშის გათანაბრება). გუშინ გაიმართა მეორე მატჩი. იგი დასრულდა სტავროპოლელთა გამარჯვებით, 2-0.**

## ზურაბ იონანიძე ბუქარესტის „რაპიდში“?

### თუ ეს ტრანსფერი განხორციელდა, იგი იქნება პირველი ქართველი ლეგიონერი რუმინეთის ჩემპიონატში

რუმინეთის საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, საქართველოს შარშანდელი ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე და ბომბარდირი, ქუთაისის „ტორპედოს“ თავდამსხმელი ზურაბ იონანიძე ოთხი დღეა იმყოფება ბუქარესტის „რაპიდის“ საწვრთნელ ბაზაზე. თუ სინჯებმა წარმატებით ჩაიარა, 29 წლის იონანიძე წელიწადნახევრით დაუკავშირებს ბედს რუმინულ კლუბს.

აი, რას წერს ამის შესახებ ბუქარესტის გაზეთი „სპორტი“ (№17, 6 თებერვალი): „ბუქარესტული კლუბის პრესსამსახურმა გაავრცელა ცნობა იმის შესახებ, რომ ამ კვირას „რაპიდის“ საწვრთნელ ბაზას მოაკითხა ქუთაისის „ტორპედოს“ თავდამსხმელმა ზურაბ იონანიძემ. იგი დეკემბერშიც იმყოფებოდა, მაგრამ მასთან კონტრაქტი არ გაფორმებულა, ვინაიდან სწორედ იმ დროს შეიცვალა კლუბის ხელმძღვანელობა. პრესსამსახურის ცნობით, ქართველი ლეგიონერი „რაპიდში“ 2002 წლის 1 ივლისამდე ითამაშებს“.



ზურაბ იონანიძე

ბუქარესტის „რაპიდი“ რუმინეთის ერთ-ერთი უძველესი კლუბია. იგი 1923 წელს დაარსდა. „რაპიდი“ ქვეყნის ორგზის ჩემპიონი (1966-67, 1998-99), თასის ათგზის მფლობელი, რუმინეთის სუპერთასის (1999) გამარჯვებულია. კლუბის სპონსორებია „Connex“-ი და „Lukoil“-ი. გუნდი თამაშებს ატარებს ბუქარესტის „რაპიდის“ 20-ათასიან სტადიონზე.

არაოფიციალური ცნობით, კიდევ ერთი ქუთაისის ტორპედოელი — მცველი ვახტანგ ხვადაგიანი სინჯებს გადის ბუქარესტის „დინამოში“.

## უეფა რასიზმის წინააღმდეგ

**უმაღლესი რანგის მატჩებზე გახშირდა რასისტული გამოხდომები მაყურებელთა მხრიდან. უეფას სადისციპლინო კომიტეტმა უკვე ასეთი შვიდი საქმე განიხილა. „ჩვენს შეშფოთებასაც საზღვარი აქვსო“ — განაცხადეს ევროპული ფეხბურთის ჩინოსნებმა და სადისციპლინო კოდექსის ის მუხლი, რომელიც ასეთი ქმედებისთვის მხოლოდ ფულად ჯარიმას ითვალისწინებდა, უფრო გაამკაცრეს. ამიერიდან, დამნაშავენი ფულსაც გადაიხდიან და მატჩებს ცარიელი ტრიბუნების წინაშე ჩაატარებენ.**

**ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ისტორიისა და სტატისტიკის ვერსიით XX ასწლეულის საუკეთესო ფეხბურთელები**

# „ოქროს მტაცებელი“ ტოსტაო

*(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ №5-7, 9,10 2001)*

### მკაცრი დამარცხება

„ვასკოში“ ჩემი ყოფნა ხანმოკლე აღმოჩნდა, სულ ერთი სეზონი – 1972-73. დამეკარგა თამაშის ინტერესი. ახალ პარტნიორებს პროფესიონალიზმი არ ყოფნიდათ. არ ვარჯიშობდნენ, საღამოებს გართობაში ატარებდნენ, თამაშის წინაც კი. ხელმძღვანელობა დამარცხებებს მსაჯებს აბრალებდა და ისინი უნდა მოვისყიდოთ შარშანდელივით, როცა კლუბმა „კარიოკას“ ჩემპიონობა მოიპოვაო.

ერთწლიანი უპრობლემო ჯანმრთელობის შემდეგ კვლავ შემაწუხა დაშავებულმა თვალმა. შეერთებულ შტატებში გაფრენა მომიხდა და ოპერაციის გაკეთება. კვლავ ექვსთვიანი რეაბილიტაცია. და სრულიად უნუგეშო დიაგნოზი: კარიერის გაგრძელება სარისკოა, შეიძლება მარცხენა თვალით მხედველობის დაკარგვა.

„ვასკოს“ ხელმძღვანელობამ მგზავრობისა და მკურნალობის ტოსტაოც (გროში) არ გადამიხადა, არ მიიღო სამედიცინო დასკვნა და იუსტიციის სამინისტროს მიმართა, რომ „კრუზეიროსაგან“ მიეღო ჩემში გადახდილი თანხა, მე კი, წმინდა მორალური მოსაზრებით რომ დავტოვე „კრუზეირო“, უნდა მომესმინა უზნეობისათვის საყვედური ორივე მხრიდან.

ახლა იუსტიციის სამინისტროს ხშირად ვაკითხავდი, რომ დამემტკიცებინა ჩემი პატიოსნება და მიმეღო კონტრაქტით კუთვნილი მთელი ხელფასი. ჩინოვნიკებმა (ჩათვალეს არასწორად) უარი მითხრეს ჩემს თხოვნაზე, იმის გამო, რომ რიოში ცხოვრებას აღარ ვაპირებდი და კლუბის განკარგულებაში ყოფნას, ვინაიდან დაგეგმილი მქონდა სხვა საქმიანობისთვის მომეკიდა ხელი.

ფეხბურთის მოღვაწეთაგან სასტიკი დამარცხება ვიგემე, დიდი დანაკარგებით გავყიდე რიოში ახალშეძენილი ბინა და ბელუ-ორიზონტეში დავბრუნდი, იმ გადაწყვეტილებით, რომ უნდა შევეშვებოდი ფეხბურთს, ახალ ცხოვრებაზე უნდა მეფიქრა. საზღვარგარეთ აღარ ვთამაშობდი, პროფესიულ ფეხბურთში ათწლიანი კარიერის ცხრა წელი პატარა შტატ მინას-ჟარაისში გავატარე, მდიდარი მეგობრები არ მყოლია, ამიტომ კაპიტალი ვერ დავაგროვე. და მაინც დიდად მადლიერი ვარ ფეხბურთის: ამ სიტუაციაშიც მომცა საშუალება სწავლას დავბრუნებოდი, დიდი დანახარჯების გარეშე, შემეძინა ახალი პროფესია და დამეწყო უბრალო და საკმაოდ კომფორტული ცხოვრება.

### ტოსტაო არ მომკვდარა

26 წლისამ ვიგრძენი, რომ ტკბილი და წარმტაცი სიზმარივით გაქრა ფეხბურთი და რეალური ცხოვრება დაიწყო. უკან დარჩა დიდება, სახელი, წინ – კათხა ლუდი ბარში და კინოში სიარული, თავისუფლება და ურთიერთობა ჩვეულებრივ ადამიანებთან. ახლა კერპი კი არა, ადამიანი ვარ. შორს ილუზიები! ბოლოს და ბოლოს, ტოსტაო არ მომკვდარა. იგი მთელი ცხოვრება ჩემშია, წარსულზე ხელს არ ავიღებ, მაგრამ დღევანდელობაზეც უნდა ვიფიქრო.

იმ განზრახვით შევუდექი მედიცინის შესწავლას, რომ ჩვეულებრივი ექიმი გამოვსულიყავი – არც სპორტული, არც ტრავმატოლოგი, უბრალო მკურნალი ექიმი, დამევიწყებინა ჩემი პრიზები და ჯილდოები. არ დავმალავ, მივმართე ფსიქიატრს, რომ გამეგო, როგორ მეცხოვრა ჩემს წარსულთან ერთად და როგორ განმედევნა მეხსიერებიდან სასიამოვნო მომენტები.

გავიარე მოსამზადებელი კურსი და ფედერალური უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე ჩავირიცხე. გაცდენილი ათი წლის კომპენსირება სულაც არ აღმოჩნდა ადვილი და კვლავ ბედნიერად ვგრძნობდი თავს.

ამდენი წლის შემდეგ, როგორ ვცხოვრობ ახლა? უმეტესწილად საინტერესო მატჩებს ვუყურებ ტელევიზორით, იშვიათად დავდივარ სტადიონზე. იმიტომ კი არა, არ მინდა, ანდა, მეშინია წარსულის გაცოცხლების, არც ჯანმრთელობის პრობლემების გამო. უბრალოდ, ასე მაძლევს ხელს. ძალიან ვარ დაკავებული. როცა ვუყურებ ფეხბურთს, თვალწინ მიდგება გატანილი გოლები, ჩაწოდებები, დიდების მომენტები. ეს თითქოს სიზმარია. სიზმარი კი – სულის რეფლექსი.

### ბრწყინვალე მოსწავლე



*1970 წელი. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის შემდეგ*

წარმოდგენილი მქონდა, რომ მედიცინა, პირველ ყოვლისა, ჰუმანური მეცნიერებაა და მისი საშუალებით შევაღწევ სხეულის, სიცოცხლისა და სიკვდილის საიდუმლოებაში. მაგრამ იგი ბიოლოგიური და სტატისტიკური მეცნიერებაა. ამ აღმოჩენამ ცოტა არ იყოს, იმედი გამიცრუა და კვლავ მივმართე ფსიქოთერაპიასა და ფსიქოანალიზს, რომ გამეერთებინა სხეული და სული, არა როგორც ცდის პირს, არამედ მომავალ სპეციალისტს. იყო სხვა მიზეზებიც, რის გამოც მედიცინის არჩევა გადავწყვიტე, – ვყოფილიყავ ხალხისთვის სასარგებლო, დავხმარებოდი ყველას, მედიცინაში არის კეთილშობილება, საკუთარი ღირსების შეგრძნობას გაძლევს, ადამიანური ექიმი მინდოდა გამოვსულიყავი. ბრწყინვალე მოსწავლე ვიყავი და ბოლოს და ბოლოს 160 სტუდენტში საუკეთესო ხუთეულში ალბათ იმიტომ აღმოვჩნდი, მოწიფულობის ხანაში რომ შევედი უმაღლესში და წინააღმდეგობის დაძლევის გარკვეული ჩვევები მქონდა. ლექციების გარდა დავდიოდი ბიბლიოთეკაში და მოხუცებულთა თავშესაფარში, რათა უკეთ გავრკვეულიყავი დაავადებებში, მორგში ვიზიტები კი აშკარას ხდიდა ადამიანის ორგანიზმის სისუსტეს.

არჩევანი კლინიკურ პრაქტიკოს-ექიმზე შევაჩერე. მიყვარდა პაციენტებთან საუბარი, მსიამოვნებდა რომ შემიძლია სწორი დიაგნოზის დასმა და მკურნალობის სწორი მიმართულებით წარმართვა, რითაც ქირურგიული ჩარევის გარეშე ტკივილებს ვუმსუბუქებდი ავადმყოფს.

ბევრს უკვირდა, რომ საფეხბურთო კლუბში მუშაობა არ ავირჩიე პროფესიად, ან ოფთალმოლოგად ჩემი სნეულების გამო. ან, ვთქვათ, სათავეში ჩავდგომოდი რომელიმე ჰოსპიტალს, სამედიცინო კომერცია წამომეწყო. ჩემში ბიზნესმენს ხედავდნენ – შეცდნენ. კომერციული ტალანტი არ აღმომაჩნდა. ვსინჯე, სპორტული საქონლის მაღაზიისა და ბენზინგასამართის მეპაიე ვიყავი, მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ მეწარმეობა ჩემი საქმე არაა.

### კვლავ პროფესორი

1981 წელს სწავლა დავამთავრე, შემდეგ ორი წელიწადი პრაქტიკულად ვცხოვრობდი ჰოსპიტალში. ამ ხნის განმავლობაში კიდევ ვჩნდებოდი ეკრანებსა და ჟურნალებში, ყოფილი გულშემატკივრების ყურადღებას იწვევდა ჰიპოკრატეს ფიცის პროცედურა.

დიდ სიამოვნებას მანიჭებდა ავადმყოფების მკურნალობა, ეს პროფესიის სიამაყისა და პასუხისმგებლობის შერწყმა გახლდათ.

მაგრამ კარგი ფიზიკური მომზადებაც არ მშველოდა გაუსაძლის დაღლილობაში. სამედიცინო ლიტერატურის საკითხავი დროც კი არ მქონდა. ამიტომაც, რამდენიმე ხნის შემდეგ სიამოვნებით დავთანხმდი ჩემსავე სამედიცინო ფაკულტეტზე წამეკითხა ლექციები.

ვკითხულობდი იმუნოლოგიის კურსს, რაც აუცილებელია ყოველი მედიკოსისათვის. შემდეგ დამამთავრებელ სტუდენტებს პრაქტიკულ მეცადინეობას ვუტარებდი. ვცდილობდი ტექნიკურ ჩვევებთან ერთად მათთვის პაციენტთა ემოციის მართვაც მესწავლებინა. მოწაფეებს ვუყვარდი. ჩემთვის უმაღლესი შეფასება მათი სიტყვები იყო: „თქვენგან ვისწავლეთ ყველაზე მთავარი – ყოველ პაციენტში ადამიანი დავინახოთ“. თანდათან დავუბრუნდი საექიმო პრაქტიკას.

ჩემი საექიმო სტაჟი 21 წელიწადს შეადგენდა. ფეხბურთის პროფესორს მიწოდებდნენ, მედიცინის პროფესორი გავხდი.

### ფეხბურთში დაბრუნება

მედიცინაში გატარებული ჩემი წლები ისეთი ბრწყინვალე მაინც არ ყოფილა. საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში მომსახურების დონე, ისევე, როგორც სხვა დაწესებულებებში ქვეითდებოდა. მედიკოსები უძნელეს პირობებში მუშაობდნენ. ჯანმრთელობის დაცვის მთელი სისტემა თანდათანობით განწირული იყო. მიზერული ხელფასი მქონდა, რაც პრაქტიკოს-ფსიქოანალიტიკოსის კომპენსაცია სულაც არ იყო.

1990 წელს, ფინანსური სიძნელეების მიუხედავად გავფრინდი იტალიაში მსოფლიო პირველობაზე. ისე, გულს გადავაყოლებ-მეთქი. მაგრამ უფრო სერიოზული გამოდგა. კვლავ ჩამითრია ფეხბურთმა, იგი უფრო სერიოზული მომეჩვენა, რაც ადრეულ წლებში იყო. მეც შესამჩნევი გავხდი. შემომთავაზეს რამდენიმე ბრაზილიურ გამოცემაში თანამშრომლობა. ეს კარგ შემოსავალს მპირდებოდა მომავალი მსოფლიო პირველობისთვის და დავთანხმდი. ოთხწლიანმა საინტერესო კომენტატორობამ შეუმჩნევლად გაიარა. 1994 წელს მსოფლიო თასზე აშშ-ში წავედი ჩემს ყოფილ პარტნიორებთან რიველინოსთან და ჟერსონთან ერთად, რომლებიც ახლა ჩემი მოსწავლეები გახდნენ რეპორტიორობაში.

უამრავი შთაბეჭდილება იყო, მათგან ერთს გავიხსენებ. პრეს-ცენტრის კაფეში მომიახლოვდა მსუქანი, ხანშიშესული მამაკაცი, ბოდიში მოიხადა და გვერდზე მომიჯდა. მითხრა, რომ დიდი ხანია ჩემი გაცნობა სურს. წარმომიდგა. ღმერთო ჩემო, დი სტეფანო, ჩემი კერპი, ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდი! ასეთი მომენტებისათვის ღირდა ფეხბურთში დაბრუნება!

ბრაზილიამ გაიმარჯვა, მაგრამ არავინ გაუცვიფრებია. ეფექტური თამაში აჩვენა, ძირითადად ბებეტოსა და გენიალური რომარიოს წყალობით. ისე, ჩვენმა ფეხბურთმა სამწუხარო შთაბეჭდილება დატოვა. თუმცა არც მეტოქეებს გამოუჩენიათ რითიმე თავი. აშშ-ში პირველად გამოვცადე თავი სატელევიზიო კომენტატორად ქვეყნის მასშტაბით. მანამდე ჯო სოარესთან ერთ პროგრამაში მიწვევდნენ. მან ჩემი გაფითრებული სახე და აკანკალებული ტუჩები რომ დაინახა, შეწყვიტა საუბარი. მაგრამ, როცა მიკროფონის პირისპირ აღმოვჩნდი, გადავლახე დაძაბულობა. ახლა სავსებით დაჯერებული ვიყავი, მაგრამ მაინც ბეჭდვითი სიტყვა მირჩევნია, რამდენიმე ბრაზილიურ გაზეთში ვმუშაობ.

იტალიის შემდეგ ერთი წელიწადი გაგრძელდა ჩემი სამედიცინო პრაქტიკა კლავინდებური მოვალეობის პასუხისმგებლობით. ახლა აღარ მგონია, რომ დავუბრუნდე. უფრო მშვიდი ცხოვრების რიტმს მივეჩვიე, რაც წიგნის წაკითხვისა და კინოში წასვლის საშუალებას მაძლევს, ურომლისოდაც ვერ წარმომიდგენია ცხოვრება.

*(გაგრძელება იქნება)*

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ლილიან ტურამი: ფერადკანიანებს იტალიაშიც „ბუას" გვეძახიან, მაგრამ საფრანგეთისაგან განსხვავებით ბოდიშს გვიხდიან

„საფრანგეთშიც მითამაშია, იტალიაშიც. ფერადკანიანებს ყველგან „ბუას" გვეძახიან, მაგრამ აპენინებზე ტიფოზების ასეთი გამოხტომების შემდეგ ბოდიშს გვიხდიან" — ეს სიტყვები ეკუთვნის სერია A-ში მოთამაშე ფრანგ ფერადკანიან მცველს ლილიან ტურამს. ამას წინათ ვერონას სტადი-



ტურამი

ონზე გამოსვლისას, როდესაც ტურამი ბურთს ეხებოდა, იქაური გულშემატკივრები „ბუას" გაიძახოდნენ, მატჩის შემდეგ „ვერონას" კლუბის პრეზიდენტი ჟან-ბატისტა პასტერელო პირველი მივიდა ტურამთან და ბოდიში მოიხადა ასეთი რასისტული გამოხტომების გამო. ამით მან ტიფოზების გულისწყრომა გამოიწვია. ტურამმა გულწრფელად შეუნდო იტალიელებს და საგანგებოდ აღნიშნა გუნდის თავკაცის თავდადება.

## რუმინელი ილიე „ატლეტიკოს" სურს

ცნობილი გახდა, რომ რუმინელი თავდამსხმელი ადრიან ილიე სურს გადაიბიროს მადრიდის „ატლეტიკომ". მისი მესვეურები მზად არიან „ვალენსიას" გადაუხადონ 9 მილიონი დოლარი.

## ნემეცი „შალკეში" რჩება

ამას წინათ ცნობილმა ჩეხმა ფეხბურთელმა, რომელიც გერმანიის ბუნდესლიგის „შალკე-04"-ში გამოდის, განაცხადა, რომ კარიერის დასრულებას სამშობლოში აპირებს. მიუხედავად ამისა, ცნობილი გახდა, რომ მან თავის გუნდთან 2002 წლის 30 ივნისამდე გაიხანგრძლივა კონტრაქტი.



## ყველაზე სიმპათიური დელ პიეროა, გადაწყვიტეს იტალიელმა ქალებმა

აპენინების ჟურნალმა „DONNA MODERNA"-მ შესთავაზა იტალიელ ქალებს გამოევლინათ „სერია A"-ს ყველაზე სიმპათიური ფეხბურთელი. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 11.014-მა რესპოდენტმა. შედეგები ასეთია: 1. ალესანდრო დელ პიერო (43 %), 2. ანდრეი შევჩენკო (39 %), 3. ფაბიო კანავარო (12 %), 4. ვინჩენცო მონტელა (6 %).

## „ჩელსი" კაფუს ეპატიჟება

ლონდონის „ჩელსის" მარცხიანმა გამოსვლებმა ძალიან შეაშფოთა ამ მდიდარი კლუბის ხელმძღვანელობა. ახლა კლაუდიო რანიერი, უპირველეს ყოვლისა, დაცვის გაძლიერებას აპირებს. ამ მიზნით უკვე დაიწყო მოლაპარაკება „რომასთან", რომელსაც ლონდონელები ბრაზილიის ნაკრების მცველ კაფუში 15 მილიონ დოლარს სთავაზობენ.

## ფეხბურთელები ინტერნეტით ერთობოდნენ

რამდენიმე ფეხბურთელი აღმოჩნდა ჩათრეული იმ სისხლის სამართლის დანაშაულში, რომელსაც ახლა მილანის პოლიცია იძიებს.

ჯერ არც ფეხბურთელების გვარებს ასახელებენ და არც კლუბებს, თუმცა ხაზს უსვამენ, რომ ლაპარაკია ყველაზე უფრო ცნობილ, პოპულარულ კოლექტივებზე. ინტერნეტის საიტზე ცხადდებოდა ყველაზე უფრო ძვირადღირებული მეძავების მისამართი, ტელეფონები და ფასი. „ისინი იღებდნენ ერთიდან სამ მილიონ ლირამდე (500-1500 დოლარი). ბევრი კლიენტი ვერ გადაიხდის ასეთ თანხას, — განაცხადა საგამომძიებლო ჯგუფის ხელმძღვანელმა ფილიპო ნანიმ, — ფეხბურთელები მეძავებს ინტერნეტით უკავშირდებოდნენ, სადილად პატიჟებდნენ, შემდეგ კი ერთობოდნენ".

იტალიური კანონების მიხედვით, არც ფეხბურთელების და არც მეძავების მოქმედება ამ შემთხვევაში არ ისჯება. დამნაშავეა ის, ვინც ამგვარი მოქმედებით მდიდრდება. ჩეზანაში პოლიციამ თავდასხმა მოაწყო ინტერნეტის საიტზე, კონფისკაცია გაუკეთა მთელ ორგტექნიკას, ხოლო ორი თანამშრომელი, 40-დან 50 წლის ასაკამდე, დააპატიმრა.

„ინტერის" ხელმძღვანელობამ (სწორედ ამ კლუბის მოთამაშეებზე არის სერიოზული ეჭვი) განაცხადა, რომ მისი ფეხბურთელები აქ არავითარ შემთხვევაში დამნაშავეები არ არიან და მათ არავითარი გამოძიება არ შეხებია. კლუბმა თვით შეამოწმა თავისი ყველა ფეხბურთელი და ვერავითარი კავშირი მეძავებთან ვერ დაადგინა.

## ყალბი პასპორტის გამო

როგორც ავსტრიულ კლუბ „გრაცის" მთავარმა მენეჯერმა განაცხადა, მას აღარ სჭირდება რუსი მცველი რამიზ მამედოვი, რომელსაც ყალბი პასპორტი აღმოაჩნდა. მას შემდეგ, რაც მამედოვმა „გრაცი" დატოვა, ამ ფეხბურთელით არავინ დაინტერესებულა.

## სამნახევარი წლით – 7,5 მილიონ დოლარად

მარსელის „ოლიმპიკის" მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი ესპანელი მწვრთნელი ხავიერ კლემენტე გამოსავალს ისევ ესპანური კლუბებიდან მოთამაშეების მოწვევაში ეძებს. ამჯერად სამნახევარი წლით 7,5 მილიონ დოლარად დაიდო კონტრაქტი „მალიორკას" ნახევარმცველ იოვან სტანკოვიჩთან.

## ყველაზე მნიშვნელოვანი ტრანსფერები

რუსულ ფეხბურთში გაცხოველებული სატრანსფერო პერიოდია. მიმომხილველთა აზრით, ყველაზე მნიშვნელოვნად ჩაითვალა ნაკრების თავდამსხმელ მაქსიმ ბუზნიკინის რომენსკოეს „სატურნიდან" მოსკოვის „ლოკომოტივში" გადასვლა.

მნიშვნელობით მეორეა ეროვნული ნაკრებისა და მოსკოვის „სპარტაკის" ნახევარმცველ ანდრეი ტიხონოვის ჩარიცხვა სამარის „კრილია სოვეტოვში", მესამე კი, ცნობილი მეკარე მაქსიმ ლევიცკის გადმოსვლა საფრანგეთის უმაღლესი დივიზიონის კლუბ „სენტ-ეტიენიდან" მოსკოვის „სპარტაკში".



ოტმარ ჰიტცფელდი

## სულ დაბლა, დაბლა...

მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი ოლეგ სალენკო, რომელიც უკანასკნელ ხანებში პოლონურ „პოგონში" თამაშობდა, იძულებულია ახალი კლუბი ეძებოს. საქმე ის არის, რომ „პოგონის" ხელმძღვანელობის განცხადებით, მას აღარ სჭირდება რუსი ფეხბურთელი.

## ბიშოვეცმაც შეაქო კალაძე

„ლელოს" წინა ნომერში შეგატყობინეთ იტალიის სერია A-ში კახი კალაძის წარმატებულ დებიუტის შესახებ. სპეციალისტებისა და მასმედიის გამოხმაურება ერთმნიშვნელოვნად აფასებს „მილანი" — „რეჯინას" განვლილ მატჩში ქართველი ლეგიონერის გარჯას. ამავე აზრისაა ცნობილი რუსი მწვრთნელი ანატოლი ბიშოვეციც, რომელიც თავად დაესწრო ამ შეხვედრას: „ქართველმა მცველმა ძალიან კარგად ითამაშა, შეცდომებიც არ დაუშვია და შესამჩნევად გააძლიერა „მილანის" დაცვითი ხაზი. ჩემს თავზე გამომიცდია, რა ძნელია გამოხვიდე „სან-სიროზე": 60-იან წლებში ამ სტადიონზე არაერთხელ მითამაშია".

## დაიღუპა 70-იანი წლების ვარსკვლავი

ვის არ სმენია 70-იან წლებში რომის „ლაციოსა" და ტურინის „იუვენტუსის" ვარსკვლავის ნანდო ვიოლას სახელი. ამ ნიჭიერმა ნახევარმცველმა იტალიის სერია A-ში 100-ზე მეტი მატჩი ითამაშა და არაერთხელ დაუცვია „სკუადრა აძურას" სახელი. ოთხშაბათს, საღამოს იგი ავტოკატასტროფაში დაიღუპა.



## მათეუსი ახალ ამპლუაში?

გერმანული გაზეთ „ბილდის" ცნობით, სახელგანთქმულმა ვეტერანმა მცველმა ლოთარ მათეუსმა მზადყოფნა გამოთქვა დაეხმაროს ბუნდესლიგის ერთ-ერთ აუტსაიდერს ფრანკფურტის „აინტრახტს": „თუ მოთამაშე-მწვრთნელად მიმიპატიჟებენ, დარწმუნებული ვარ გუნდს ლიგიდან გავარდნას გადავარჩენ". როგორ გამოეხმაურნენ „აინტრახტის" მეპატრონეები მათეუსის წინადადებას, ჯერჯერობით უცნობია.

## ჰიტცფელდმა „ბაიერნთან" კონტრაქტი გააგრძელა

მაშ ასე, დიდი ყოყმანის შემდეგ მიუნხენის „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელი ოტმარ ჰიტცფელდი კლუბის პრეზიდენტის ფრანც ბეკენბაუერის მოთხოვნას დაყაბულდა და ბავარიულ გუნდთან კონტრაქტი გააგრძელა 2004 წლის 1 ივლისამდე. ეს იმიტომ მოხდა, რომ ხმები დაირხა, 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ოტმარს გერმანიის ეროვნული ნაკრების თავკაცად ნიშნავენო. რათა ბოლო მოეღო ასეთი ინფორმაციების გავრცელებას, „ბაიერნის" მეპატრონეებმა ამთავითვე დაიჭირეს თადარიგი.

# EUROBET-ის ფსონები

| | თარიღი | მ. | ფ. | წ. |
|---|---|---|---|---|
| **ინგლისი ● მესამე დივიზიონი** | | | | |
| ჩესტერფილდი — ჩელტენჰემი | 09.02.2001 | 1,45 | 3,75 | 6,5 |
| **გერმანია ● ბუნდესლიგა** | | | | |
| ფრანკფურტი — კოტბუსი | 09.02.2001 | 1,73 | 3,4 | 4,0 |
| **ინგლისი ● პრემიერლიგა** | | | | |
| ჩელსი — მანჩ. იუნაიტედი | 10.02.2001 | 2,6 | 3,2 | 2,38 |
| არსენალი — იფსვიჩი | 10.02.2001 | 1,37 | 4,0 | 7,0 |
| ასტონ ვილა — მიდლსბრო | 10.02.2001 | 2,1 | 3,2 | 3,0 |
| ევერტონი — ლესტერი | 10.02.2001 | 2,25 | 3,2 | 2,75 |
| ლიდსი — დერბი | 10.02.2001 | 1,45 | 3,5 | 6,5 |
| მანჩ. სიტი — ტოტენჰემი | 10.02.2001 | 2,25 | 3,2 | 2,75 |
| საუთჰემპტონი — ბრედფორდი | 10.02.2001 | 2,6 | 3,2 | 2,38 |
| **ინგლისი ● პირველი დივიზიონი** | | | | |
| ბარნსლი — ფულჰემი | 10.02.2001 | 4,34 | 3,4 | 1,67 |
| ბოლტონი — ჰადერსფილდი | 10.02.2001 | 1,37 | 4,0 | 7,0 |
| ბარნლი — კრისტალ პალასი | 10.02.2001 | 2,0 | 3,2 | 3,2 |
| ჯილინგემი — გრიმსბი | 10.02.2001 | 1,8 | 3,2 | 4,0 |
| ნორვიჩი — ქრიუ | 10.02.2001 | 1,67 | 3,4 | 4,34 |
| ნოტს. ფორესტი — ბლექბერნი | 10.02.2001 | 2,6 | 3,2 | 2,38 |
| პრესტონი — ქპრ | 10.02.2001 | 1,54 | 3,4 | 5,5 |
| შეფილდ იუნ. — ბირმინგემი | 10.02.2001 | 2,38 | 3,2 | 2,6 |
| ტრანმერი — ვულვზი | 10.02.2001 | 2,2 | 3,2 | 2,8 |
| უოთფორდი — პორთსმუთი | 10.02.2001 | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| ვესთ ბრომვიჩი — სტოკპორტი | 10.021.2001 | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| უიმბლდონი — შეფილდ უენს. | 10.02.2001 | 1,62 | 3,5 | 4,5 |
| **ინგლისი ● მეორე დივიზიონი** | | | | |
| ბრენდფორდი — რედინგი | 10.02.2001 | 2,5 | 3,2 | 2,5 |
| როვერსი — ნოტსი | 10.02.200 | 2.75 | 3.25 | 2.25 |
| კოლჩესტერი — უიგანი | 10.02.2001 | 2,8 | 3,2 | 2,25 |
| ნორთჰემპტონი — ლუტონი | 10.02.2001 | 1,54 | 3,6 | 3,5 |
| ოლდემი — რექსჰემი | 10.02.2001 | 1,84 | 3,4 | 3,6 |
| ოქსფორდი — უიკომბი | 10.02.2001 | 2,75 | 3,25 | 2,25 |
| პეტერბორო — სტოკი | 10.02.2001 | 2,6 | 3,2 | 2,38 |
| პორტველი — ბორნმუთი | 10.02.2001 | 2,5 | 3,2 | 2,5 |
| როტერჰემი — კემბრიჯი | 10.02.2001 | 1,5 | 3,6 | 6,0 |
| სუინდონი — ბრისტოლი | 10.02.2001 | 2,8 | 3,2 | 2,25 |
| უოლსოლი — ბერი | 10.02.2001 | 1,45 | 3,75 | 6,5 |
| **ინგლისი ● მესამე დივიზიონი** | | | | |
| ჰარტლპული — ბლეკპული | 10.02.2001 | 1.84 | 3,4 | 3,6 |
| ბრაიტონი — კარდიფი | 10.02.2001 | 2.0 | 3,25 | 3,25 |
| დარლინგტონი — შრუსბური | 10.02.2001 | 2,1 | 3,4 | 2,88 |
| ექსეტერი — მაქსფილდი | 10.02.2001 | 2,5 | 3,2 | 2,5 |
| ჰალიფაქსი — მენსფილდი | 10.02.2001 | 2,0 | 3,25 | 3,25 |
| ჰალი — ორიენტი | 10.02.2001 | 2,5 | 3,2 | 2,5 |
| კიდერმინსტერი — ბარნეტი | 10.02.2001 | 2,25 | 3,25 | 2,75 |
| ლინკოლნი — იორკი | 10.02.2001 | 1,73 | 3,5 | 4,0 |
| პლიმუტი — საუთჰენდი | 10.02.2001 | 2,2 | 3,4 | 2,75 |
| როჩდეილი — კარლისი | 10.02.2001 | 1,54 | 3,4 | 6,0 |
| სქანთორფი — იორკი | 10.02.2001 | 1,62 | 3,6 | 4,5 |
| **შოტლანდიის პრემიერლიგა** | | | | |
| დანდი — ჰართსი | 10.02.2001 | 2,25 | 3,2 | 2,75 |
| დანფერმლაინი — დანდი იუნ. | 10.02.2001 | 1,91 | 3,2 | 3,5 |
| ჰიბერნიანი — სტ. მირენი | 10.02.2001 | 1,25 | 5,0 | 8,0 |
| მოზერველი — აბერდინი | 10.02.2001 | 1,80 | 3,4 | 3,75 |
| **ესპანეთის პრიმერა დივიზიონი** | | | | |
| ვალენსია — ნუმანსია | 10.02.2001 | 1,34 | 3,75 | 9,0 |
| ესპანიოლი — სელტა | 10.02.2001 | 1,67 | 3.25 | 4,5 |
| ატლეტიკო — რეალი | 10.02.2001 | 3,0 | 3,2 | 2,1 |
| დეპორტივო — სოსიედადი | 10.02.2001 | 1,25 | 4,5 | 10,0 |
| **გერმანიის ბუნდესლიგა** | | | | |
| ლევერკუზენი — კიოლნი | 10.02.2001 | 1,45 | 3,75 | 6,0 |
| ბაიერნი — შტუტგარტი | 10.02.2001 | 1,29 | 4,5 | 8,0 |
| ჰამბურგი — ბოხუმი | 10.02.2001 | 1,67 | 3,25 | 4,5 |
| შალკე —მიუნხენ-1860 | 10,02.2001 | 1,5 | 3,4 | 6,0 |
| კაიზერსლაუტერნი — უნტერჰახინგი | 10.02.2001 | 1,54 | 3,4 | 5,5 |
| დორტმუნდი — ვერდერი | 11.02.2001 | 1,67 | 3,25 | 4,5 |
| ფრაიბურგი — ჰანზა | 11.02.2001 | 1,62 | 3,5 | 4,5 |
| **იტალია ● სერია A** | | | | |
| ინტერი — რეჯინა | 10.02.2001 | 1,25 | 4,5 | 10,0 |
| ლაციო — ატალანტა | 10.02.2001 | 1,5 | 3,4 | 6,0 |
| ბოლონია —რომა | 11.02.2001 | 3,6 | 2,88 | 2,0 |
| ბრეშა — უდინეზე | 11.02.2001 | 2,5 | 2,88 | 2,63 |
| ფიორენტინა — პარმა | 11.02.2001 | 1,91 | 3,0 | 3,75 |
| იუვენტუსი — ნაპოლი | 11.02.2001 | 1,29 | 4,34 | 8,5 |
| ვერონა — ბარი | 11.02.2001 | 1,8 | 3,0 | 4,34 |
| ლეჩე — პერუჯა | 11.02.2001 | 2,2 | 3,0 | 3,0 |
| ვიჩენცა — მილანი | 11.02.2001 | 3,4 | 2,8 | 2,1 |
| **შოტლანდიის პრემიერლიგა** | | | | |
| სტ. ჯონსტონი — კილმარნოკი | 11.02.2001 | 2,38 | 3,2 | 2,6 |
| სელტიკი — რეინჯერსი | 11.02.2001 | 2,25 | 3,2 | 2,75 |
| **ინგლისის პრემიერლიგა** | | | | |
| ჩარლტონი — ნიუკასლი | 11.02.2001 | 2,2 | 3,2 | 2,8 |
| **ესპანეთის პრემიერადივიზიონი** | | | | |
| ვალიადოლიდი — ლას პალმასი | 11.02.2001 | 2,01 | 3,2 | 4,0 |
| ალავესი — სარაგოსა | 11.02.2001 | 2,0 | 3,2 | 3,2 |
| მალაგა — მალიორკა | 11.02.2001 | 2,2 | 3,0 | 3,0 |
| სანტანდერი — ბარსელონა | 11.02.2001 | 4,34 | 3,2 | 1,73 |
| რაიო — ოსასუნა | 11.02.2001 | 1,54 | 3,4 | 5,5 |
| ოვიედო — ვილიარეალი | 11.02.2001 | 2,1 | 3,2 | 3,0 |
| **ინგლისის პრემიერლიგა** | | | | |
| ვესტ ჰემი — ქოვენთრი | 12.02.2001 | 1,54 | 3,4 | 5,5 |
| ინგლისი — ესპანეთი | 28.02.2001 | 1,01 | 3,2 | 3,0 |

## ამოკაჩის არ სურს ითამაშოს მესამე ლიგაში

ამას წინათ ინგლისის მესამე დივიზიონის აუტსაიდერმა კლუბმა „დარლინგტონმა" განიზრახა გუნდში სათამაშოდ მიიწვიოს ნიგერიის ნაკრების ვეტერანი ფეხბურთელი დანიელ ამოკაჩი, რომელიც აქამდე 6 წელი გამოდიოდა პრემიერ-ლიგის ლივერპულის „ევერტონში". „დარლინგტონმა" ამოკაჩის საშური კონტრაქტი შესთავაზა, მაგრამ დიდი ყოყმანის შემდეგ ნიგერიელმა მაინც უარი უთხრა მესამე დივიზიონელებს – სამშობლოში აღარ ჩამესვლება, სირცხვილით როგორ გავამჟღავნებ, რომ ასეთი დაბალი დონის გუნდში ვთამაშობ.

ნაციონალური ბიბლიოთეკა

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### ზოგი ძვირად დაუჯდათ, ზოგის გაცვალეს

„პარი სენ-ჟერმენის" ხელმძღვანელობა ცდილობს გუნდში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამოსწორებას, შემადგენლობის გაძლიერებას. ახლა კლუბში ჩაირიცხა ორი ახალი, საკმაოდ ცნობილი მოთამაშე: 28 წლის არგენტინელმა მცველმა მაურისიო პოჩეტინომ (რომელიც ბარსელონის „ესპანიოლში" თამაშობდა) და ბრაზილიელმა ვამპეტამ 2004 წლამდე დადეს ხელშეკრულება. პოჩეტინოში კლუბმა 2,8 მილიონი დოლარი გადაიხადა, ვამპეტა კი მცველ სტეფან- დალმაში გაცვალეს.

### ალბანელი კარგად თამაშობს

**იტალიური „ბრეშია" ახლა გააფთრებით იბრძვის სერია A-ში დარჩენის უფლებისათვის. მან გერმანულ „კაიზერსლაუტერნისაგან" შეიძინა ალბანეთის ნაკრების ცენტრფორვარდი იგლი ტარა, რომლსაც ნაკრებში ჩატარებულ 34 მატჩში 16 გოლი აქვს გატანილი.**

### მსაჯს ნუ დაემუქრები, უიმედოა

ფრანგულ კლუბ „ბასტიას" მთავარი მწვრთნელი ფრედერიკ ანტონელი დისკვალიფიცირებულია სამი თვით. ეს გადაწყვეტილება საფრანგეთის ლიგის ხელმძღვანელობამ იმიტომ მიიღო, რომ ანტონელი „სტრასბურთან" მატჩში მსაჯს არაერთგზის დაემუქრა.

### ნიქიერ ფინელ ფორვარდ ფორსელით...

**... დაინტერესებულია ლევერკუზენის „ბაიერი". იგი თანახმაა ლონდონის „ჩელსის" 4 მილიონი დოლარი გადაუხადოს. მიქაელ ფორსელს ადრე წარმატება ჰქონდა „ჩელსიში", მაგრამ შემდეგ ვერ გაუძლო კონკურენციას ძოლასთან, ფლოსა და სატონთან, რის გამოც „კრისტალ პალასში" გაანათხოვრეს. დაუმი, როცა „ბაიერს" ხელმძღვანელობდა, ადრეც აპირებდა ფორსელის მიწვევას.**

### დიახ, პაპი ახალგაზრდობაში მეკარე იყო

ის, რომ რომის პაპი იოანე პავლე II ასეა დაინტერესებული ფეხბურთით და ხშირად ვატიკანში იწვევს გამოჩენილ ოსტატებს, სულაც არ არის შემთხვევითი.

ახალგაზრდობაში პაპი მშობლიურ პოლონეთში თვით აქტიურად თამაშობდა ფეხბურს, მეკარე იყო.

### „ბარი" ხავსს ხომ არ ეძიდება

**„ბარი", რომელიც ახლა „სერია A"-ში უკანასკნელ ადგილზეა, ყოველნაირად ცდილობს სატურნირო ცხრილის ფსკერს თავის დაღწევას. ამ დღეებში მან „რომასაგან" იყიდა თავდამსხმელი პაოლო პოჯი, რომელიც ამ კლუბში ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა.**

### ევგენი კუჩერევსკი: გვიბრძანეს, მორჩა და გათავდა

ცნობილმა მწვრთნელმა ევგენი კუჩერევსკიმ, რომელიც ახალი წლიდან მოსკოვის „ტორპედო-ზილს" უდგას სათავეში, განაცხადა:

— ყველას ახსოვს, როგორ გადავიდნენ დნეპროპეტროვსკის „დნეპრიდან" კიევის „დინამოში" ოლეგ პროტასოვი და გენადი ლიტოვჩენკო. ყველაფერი უმაღლეს პარტიულ დონეზე გადაწყდა, ჩვენთვის კაპიკიც არავის მოუცია, ეს კია, რომ მადლობა გვითხრეს. ახლა ისინი სატრანსფერო ბაზარზე 20-30 მილიონი დოლარი ელირებოდნენ და მათი შეძენა ნებისმიერ რუსულ კლუბს გააკოტრებდა.

### „ვიჩენცა" ვისზე ნაკლებია?

**კიდევ ერთი კლუბი — „ვიჩენცა", რომელიც „სერია A"-ში ძალიან გაჭირვებულია, სულაც არა ყრის ფარხმალს. მან „მილანისაგან" იყიდა ხორვატი ნახევარმცველი დრაჟენ ბრნჩიჩი და „იუვენტუსისაგან" იჯარის უფლებით ითხოვა მცველი მარკო ძანკი.**

### 100 წლის იუბილესათვის 60 მილიონს დახარჯავენ

გაისად მადრიდის „რეალის" დაარსების 100 წლისთავი აღინიშნება. ამ ზეიმის დიდი ამბით ჩატარებისათვის „რეალის" ხელმძღვანელობა მზად არის გამოჰყოს დაახლოებით 60 მილიონი დოლარი, ამასთან, საზეიმო ღონისძიებების ჩატარება ხუთივე კონტინენტზეა განზრახული.



## უძლიერესი იან კოლერია

ბრიუსელის „ანდერლეხტის" ჩეხი თავდამსხმელი იან კოლერი აღიარებულია ბელგიის №1 ფეხბურთელად. 2000 წლის შედეგების მიხედვით მან გაასწრო თავის თანაკლუბელებს ვანდერჰაგსა და ბესაჯიოს.

## რეკობამ და ვერონმა ჩვენებები მისცეს

„ლელოს" მკითხველმა იცის, რომ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში (საფრანგეთი, ინგლისი, შოტლანდია, იტალია, ესპანეთი) გრძელდება ე.წ. საპასპორტო სკანდალები. სამართალდამცავმა სტრუქტურებმა ჯერ „ლიფსიტებით" დაიწყეს, ვთქვათ, ისეთი დონის ფეხბურთელებით, როგორიცაა საფრანგეთის „სენტ-ეტიენის" მოთამაშეები, ბრაზილიელი ალექსი და უკრაინელი მაქსიმ ლევიცკი. ახლა კი პოლიციელთა მხედველობის არეში „მძიმე არტილერიაც" მოექცა: სამშაბათს იტალიაში დაჰკითხეს სერია A-ს ორი სუპერვარსკვლავი – მილანის „ინტერის" ურუგვაელი ლეგიონერი ალვარო რეკობა და რომის „ლაციოს" არგენტინელი ფეხბურთელი ხუან ვერონი. აღსანიშნავია, რომ რეკობამ ერთი თვის წინათ მიიღო იტალიური პასპორტი, ხოლო ვერონისთვის ეს დოკუმენტი ამ დღეებში გადაუციათ.

ურუგვაელი უდინეში დაჰკითხეს, ალვარო 2 საათი უხსნიდა გამომძიებელს რა მონაცემების მიხედვით მიიღო იტალიური პასპორტი. ამის შემდეგ რეკობა მილანში დაბრუნდა, ჟურნალისტებმა ვერც გამომძიებლისგან მიიღეს რაიმე ინფორმაცია, მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ „ინტერის" ფეხბურთელის ახალი პასპორტი გაუქმებულია და იგი სასწრაფოდ უნდა დაბრუნდეს მონტევიდეოში, სადაც იტალიაში მუშაობის თანხმობას მიიღებს.

გაცილებით ჩახლართულია ვერონის საქმე. კომისია კატეგორიულად ითხოვს ფეხბურთელისგან დამამტკიცებელ საბუთს, რომ მისმა წინაპრებმა საუკუნეზე მეტია დატოვეს იტალია და არგენტინაში გადასახლდნენ. სწორედ ეს იყო ვერონისთვის მთავარი დასაყრდენი საბუთი, როცა იტალიური მოქალაქეობის დამადასტურებელი მოწმობა მოითხოვა.

და აი, ბოლო დღეებში მოხდა საოცრება – ფეხბურთელის ადვოკატებმა სტრატეგია შეიცვალეს და განაცხადეს, რომ მათ კლიენტს არასოდეს სურდა მიეღო ევროკავშირელი მოქალაქის სტატუსი. ადვოკატმა მარსელო პეტრელიმ განაცხადა: „ხუანს არასოდეს უთქვამს, რომ ასეთი მოწმობის აღება უნდოდა. იგი იმდენად მაღალკვალიფიციური ფეხბურთელია, რომ ლეგიონერის სტატუსითაც გავა ფონს. „ლაციოში" ამ მხრივ პრობლემა არასოდეს შეექმნება." იტყობინებიან, რომ სამართალდამცავი ორგანოები შოკირებულნი არიან საქმის ასეთი მსვლელობით და, ალბათ, ვერონიც ამ სკანდალიდან „მშრალად" გამოვა.

## ფიოლერს დებიუტანტი ეყოლება

**27 თებერვალს გერმანიის ნაკრები ამხანაგურ მატჩში შეხვდება მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებს — ფრანგებს.**

**ამ მატჩში გერმანელების მთავარ მწვრთნელ რუდი ფიოლერს, საკუთარი განცხადებით, ერთი დებიუტანტიც ეყოლება. ეს არის „კიოლნის" ნახევამცველი კრისტიან ტიმი.**

## 15 ქულის უპირატესობით

### ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა

აზრი, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს" სხვა კლუბებთან შედარებით უპირატესობა ექნებოდა, ჯერ კიდევ ინგლისის პირველობის დაწყებამდე გამოითქვა და მას, რა თქმა უნდა, სათანადო საფუძველიც ჰქონდა. უპირატესობა, მაგრამ ასეთი? ახლა, როცა შეჯიბრების დამთავრებამდე 12 ტური დარჩა, ყველა მიმომხილველი მტკიცედ თვლის, რომ შარშანდელი ჩემპიონი კვლავ გაიმარჯვებს — იგი ხომ უახლოეს მდევარს, ლონდონის „არსენალს" მთელი 15 ქულით უსწრებს. შეიძლება გუნდმა რაიმე მიზეზის ასეთი უზარმაზარი უპირატესობა გაანიავოს? რა თქმა უნდა, ფეხბურთში ყველაფერი ხდება, მაგრამ, მეორე მხრივ, ასეთ აწყობილ მექანიზმს რა უნდა მოუვიდეს?!

XXV ტურში ლიდერის ოდნავ მაინც დამუხრუჭებას შეეცადა მისი ერთ-ერთი მდევარი „სანდერლენდი", მით უმეტეს, რომ საკუთარ მინდორზე თამაშობდა, სადაც იგი შარშანდელი აპრილიდან არ დამარცხებულა! გამარჯვების შემთხვევაში „სანდერლენდს" მანჩესტერელებზე „მხოლოდ" 10 ქულით ნაკლები ექნებოდა, და რალაც ოდნავი იმედიც — თავის ისტორიაში მეშვიდედ მოეპოვებინა ინგლისის ჩემპიონობა.

არაფერი გამოვიდა! რა თქმა უნდა, „სანდერლენდს" მონდომებასთან ერთად არც ოსტატობა აკლდა და პირველ ტაიმში შეუპოვრად უტევდა. მასპინძლების შეტევები პირდაპირ კლდეს აწყდებოდა — „მანჩესტერ იუნაიტედში" ახლა ბრწყინვალედ თამაშობს ცენტრალური მცველების წყვილი: სტამი — ბრაუნი. როგორც ინგლისელი კომენტატორები წერენ, ალექს ფერგიუსონმა ასეთი შესანიშნავი დუეტის შედგენით საიმედოდ დაიცვა ბარტეზის კარი, რომლისათვის რეალური საფრთხის შექმნა ახლა დიდი პრობლემა გახდება არა მარტო ინგლისურ, არამედ ყველაზე ძლიერ კონტინენტის კლუბებისთვისაც. ვნახოთ! ყოველ შემთხვევაში, „სანდერლენდმა" სტამ-ბრაუნის წყვილს ვერაფერი მოუხერხა, პირველ ტაიმში კი მხოლოდ ერთი მწვავე მომენტის მსგავსი თუ შექმნა. მატჩის ბედი მეორე ტაიმის დასაწყისში გადაწყდა. მასპინძლების კარისაკენ გაიჭრა ენდი კოული, რომელსაც ზოგი ჟურნალისტის ცნობით, სათადარიგო სკამზე დასმას (და გაყიდვას) უპირებენ, ამიტომ დიდი მონდომებით თამაშობს. „სანდერლენდის" ცენტრალურმა მცველებმა ვარგამ და კრედოკმა კოული ვერ შეაჩერეს და მან შეძლო ანგარიშის გახსნა. აი აქ კი მასპინძლების კაპიტანი მაიკლ გრეი მსაჯს შეეკამათა. იგი ამტკიცებდა, რომ კოულმა ბურთი ხელით „მოიმარჯვა". მსაჯი კაპიტანს არ დაეთანხმა და რახან გრეი არა ცხრებოდა და გრემ პოლს არ ეშვებოდა, იგი მინდვრიდან გააძევა. ამის შემდეგ „სანდერლენდის" თამაში ქაოტიური გახდა და სტუმრებმა საბოლოოდ სამი ქულა მოიპოვეს — 1-0. მართალია, შემდგომი მატჩი უკვე საკუთარ მინდორზე „მანჩესტერ იუნაიტედმა" ლივერპულის „ევერტონთან" კვლავ ასეთივე მოკრძალებული ანგარიშით მოიგო, მაგრამ „სანდერლენდი" სტუმრად გიორგი ქინქლაძის „დერბი ქაუნთისთან" დამარცხდა — 0-1, რის შემდეგ მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა და ახლა ლიდერს უკვე 19 (!) ქულით ჩამორჩება.



„მანჩესტერ იუნაიტედი" ჩემპიონობას კი მიუახლოვდა, მაგრამ ალექს ფერგიუსონი მაინც თვლის, რომ მილოცვა ჯერ ადრეა.

ჩემპიონატის დაწყებამდე „მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარ მეტოქედ ლონდონის „არსენალი" ითვლებოდა. ახლა ეს სავსებით პირობითი გახდა, თუმცა ლიდერის უახლოესი მდევრები სწორედ „მეთოფეები" არიან. გავიხსენოთ, რომ XII ტურის შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედი" და „არსენალი" პირველ-მეორე ადგილებს იყოფდნენ, მაგრამ შემდეგ ლონდონელებს ძალიან მძიმე პერიოდი დაუდგათ, ჩავარდნა ეროვნულ ჩემპიონატზეც ჰქონდათ და ჩემპიონთა თასზეც. შემდეგ არსენ ვენგერის გუნდმა გამოასწორა მდგომარეობა და ჩემპიონთა საგაისო ლიგაში საგზურის მოპოვება არ უნდა გაუჭირდეს. „არსენალის" შემადგენლობა მეტად ძლიერია, ფრანგი სპეციალისტის განკარგულებაში არაერთი შესანიშნავი ოსტატია, თუმცა ერთი საფრთხე მაინც არსებობს — მათი დიდი ნაწილი ასაკოვანია და თუ ახლა არა, უახლოეს წლებში მაინც შემცვლელები უნდა მოეძებნოთ.

„არსენალი" (47 ქულა) თუ ლიდერს არ ემუქრება, თავად გრძნობს „ლივერპულის" (44) სუნთქვას. ჟერარ ულიემ ინგლისის მრავალგზის ჩემპიონი რალაც „საერთაშორისო კლუბად" აქცია. ჰოლანდიელ მეკარე ვესტერველდს, გერმანელებს ბაბელსა და ციგეს, ჩეხ შმიცერს, ფრანგ დიომედს ფინელ ჰიუპიას (რომელსაც ძალიან აქებენ) ახლა კიდევ ერთი განთქმული ფინელი იარი ლიტმანენი დაემატა. „ლივერპულმა" დაკარგა შესაძლებლობა სტუმრად, „მეინ როუდზე", პირველად 1991 წლის შემდეგ დაემარცხებინა „მანჩესტერ სიტი" — 1-1, მაგრამ ბოლო მატჩში შინ მძიმე მარცხი — 3-0 აგემა ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედს".

„სანდერლენდი" (43) ახლა მეოთხეა, მასთან ერთად ევროთასებზე მონაწილეობის პრეტენზია ახლა ბევრსა აქვს: „იფსვიჩ თაუნს" (40), „ლესტერ სიტის" (39), „ლიდს იუნაიტედს" (38), გნებავთ „ჩელსის", „ნიუკასლ იუნაიტედსა" და „ჩარლტონ ატლეტიკს" (37-37 ქულა). ჩვენ „საერთაშორისო კლუბებზე" ვლაპარაკობდით, და, ამ მხრივ ვინ შეედრება ლონდონის „ჩელსის", სადაც მეტი იტალიელია (სხვა ეროვნების ფეხბურთელებს თავი დავანებოთ), ვიდრე ინგლისელი, მაგალითისათვის დავასახელოთ „ჩელსის" შემადგენლობა ერთ-ერთ ბოლო მატჩში: კუდიჩინი, ფერერი ლებეფი, მელხიოტი, ბაბაიარო, ლე სო (გრონკჯერი), პოიეტი (სტანიჩი), უაიზი, დალა ბონა, ძოლა (გუდიონსონი), ჰასელბაინკი. მწვრთნელ კლაუდიო რანიერის მეთოდები დიდად არ განსხვავდება მის წინამორბედ ვიალისაგან, ამასთან, „არისტოკრატთა კლუბის" მესვეურები აშკარად უკმაყოფილონი არიან, გაცილებით უკეთეს შედეგებს მოელოდნენ.

რა თქმა უნდა, ჯერ ძალიან ადრეა აუტსაიდერთა გამოკვეთილ ჯგუფზე ლაპარაკი — აქედან თავის დაღწევის საშუალება ჯერ კიდევ არსებობს, მაგრამ ყველაზე მეტად გაუჭირდება უსახურად მოთამაშე „ბრედფორდს", რომელიც 16 ქულით „მტკიცედ" დამკვიდრდა უკანასკნელ, მე-20 ადგილზე. არც ისე შორს არიან „ქოვენთრი სიტი" (21), „მანჩესტერ სიტი" (23), რომელსაც სულ ახლახან შეემატა, მიმომხილველთა აზრით, ამჟამად კარგად მოთამაშე ანდრეი კანჩელსკისი. არც „მიდლსბროს" (26) მდგომარეობაა მყარი, გიორგი ქინქლაძის „დერბი ქაუნთიმ" კი უკანასკნელ ტურში „შავი კატების" ანუ „სანდერლენდის" დამარცხებით 1-0 რამდენადმე გამოასწორა მდგომარეობა — 27 ქულა მოაგროვა.

მორიგი XXVII ტური 10 თებერვალს გაიმართება. რა თქმა უნდა, ყურადღების ცენტრშია „მანჩესტერ იუნაიტედის" მატჩი ლონდონში „ჩელსისთან". აქ „მანჩესტერ იუნაიტედს" არაერთი მძიმე მარცხი უნახავს. „არსენალი", ყოველ შემთხვევაში, ელის ლიდერის დამუხრუჭებას, თვით კი ასევე მეტად სახიფათო „იფსვიჩ თაუნს" მიიღებს. დიდი მნიშვნელობა აქვს მესამე და მეოთხე ადგილებზე მყოფ „სანდერლენდისა" და „ლივერპულის" შეხვედრას პირველთა მინდორზე. ერთი სიტყვით, ლიდერთა ჯგუფში შეიძლება გარკვეული გადაადგილებები მოხდეს. რაც შეეხება „დერბის", მას მძიმე მატჩი მოელის სტუმრად „ლიდს იუნაიტედის" წინააღმდეგ.

ხომ საინტერესო შეხვედრებია, მაგრამ კიდევ უფრო საინტერესო ტური მცირე შესვენების შემდეგ 24 თებერვალს შედგება. აქ საკმარისია თუნდაც ორი შეხვედრის დასახელება: „მანჩესტერ იუნაიტედი" მიიღებს „არსენალს", ხოლო „ლივერპული" — „ჩელსის". ქინქლაძის „დერბი" ძლიერ „ასტონ ვილას" უმასპინძლებს.

**ბივი ბამრეკელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტული პლანეტა

## ნბა:

# შაკილს „საბურავმა დაუშვა“



ამ შაბათს ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ვარსკვლავები საჩვენებელ ამხანაგურ მატჩს გამართავენ, მაგრამ საქმე იქითკენ მიდის, მაყურებელი ამ დღეს მრავალ წარჩინებულ მოთამაშეს მოისაკლისებს: ტრავმების გამო ვერ ითამაშებენ გრანტ ჰილი „ორლანდოდან“ და ალონსო მოურნინგი „მაიამიდან“. გუშინ კი თავისი ავადმყოფობის შესახებ გამოაცხადა „ლოს-ან-ჯელეს ლეიკერსის“ ვარსკვლავმა შაკილ ო'ნილმა. მისი თქმით, წინა მატჩში ფეხი იღრძო და რამდენიმე დღით ვეღარ ივარჯიშებს: „ჩათვალეთ, რომ ვარ დიდი 18-ბორბლიანი სატვირთო ავტომანქანა და უეცრად ერთ-ერთ ბორბალს საბურავი დაეშვა. ახლა იძულებული ვარ სვლა შევწყვიტო, მაგრამ მალე საბურავს გამოვცვლი და კვლავ განვაგრძობ სვლას“.

ამასობაში გუშინ ნბა-ს რეგულარულ ჩემპიონატში მორიგი მატჩები გაიმართა: პორტლენდი — სიეტლი 97:80, ბოსტონი — მილუოკი 94:91, ფილადელფია — ჰიუსტონი 87:112, კლივლენდი — სან-ანტონიო 89:107, ნიუ-იორკი — დალასი 96:93 (ორი ოვერტაიმი), ორლანდო — ვაშინგტონი 107:98, მინესოტა — საკრამენტო 117:88, გოლდენ სტეიტი — ლოს-ანჯელეს კლეიპერსი 89:88, ლოს-ანჯელეს ლეიკერსი — ფინიქსი 85:83, ვანკუვერი — იუტა 82:92.

**ნბა-ს სნაიპერთა ათეული (8 თებერვლის მონაცემებით):**

**1. კობი ბრაიანტი (ლოს-ანჯელეს ლეიკერსი) — 46 მატჩი, 491 ქულა**
**2. ალენ აივერსონი (ფილადელფია) — 47,480**
**3. ჯერი სტოკჰაუსი (დეტროიტი) — 47, 450**
**4. ვინს კარტერი (ტორონტო) — 41,410**
**5. კრის ვებერი (საკრამენტო) — 43,484**
**6. შაკილ ო'ნილი (ლოს-ანჯელეს ლეიკერსი) — 39,424**
**7. ტრეისი მკგრეიდი (ორლანდო) — 44, 437**
**8. ანტუან ჯემისონი (გოლდენ სტეიტი) — 47,461**
**9. პაულ პირსი (ბოსტონი) — 48,395**
**10. სტეპტონ მერბური (ნიუ-ჯერსი) — 46,380.**

# საბონისმა ცოლს სიტყვა არ შეაწია



ნბა-ს ლიტველი ვარსკვლავის არვიდას საბონისის მეუღლე ინგრიდა შარში გაეხვია — მას დაუმტკიცდა ავტომანქანის ნასვამ მდგომარეობაში ტარება. ბოლო ერთ წელიწადში ეს უკვე მეორედ მოხდა. პირველად ინგრიდას სისხლის ანალიზმა ალკოჰოლის 0,23-პროცენტიანი კონცენტრაცია უჩვენა, ახლა კი — 0,26 პროცენტი, როცა დასაშვებია მხოლოდ 0,08.

მოსამართლემ ინგრიდა 3 ათასი დოლარით დააჯარიმა, მას 3 წლით ჩამოერთვა მანქანის მართვის მოწმობა და 32-დღიანი პატიმრობა მიუსაჯეს. ამჟამად წყდება საკითხი შეიძლება თუ არა ქალბატონ საბონისს პირობითი სასჯელი შეუფარდონ. თუ ასე მოხდა, ქალს სპეციალურ სამაჯურს შეაბამენ, რომელიც დააფიქსირებს მის ადგილმდებარეობას.

როდესაც ინგრიდას მეუღლეს, „პორტლენდის“ ცენტრფორვარდს სთხოვეს მომხდარი ამბის კომენტარი, არვიდასმა ჩვეული სიდინჯით თქვა: „თუ დამნაშავეა, პასუხიც თავად აგოს. მე ასეთი წვრილმანებისთვის დრო არ მრჩება, ჩემი პრობლემებიც თავზესაყრელი მაქვს“.

### შუმახერ-უმცროსმა „მეგობარი“ დაკარგა

„ფორმულა 1“-ის ცნობილმა პილოტმა რალფ შუმახერმა სეზონისათვის მზადება შეწყვიტა. მიზეზი საპატიო აქვს — მას დაეღუპა საყვარელი ძაღლი.

ამ დღეებში რალფი გერმანიაში მშობლებთან გაემგზავრა, თან 10 თვის ლეკვი არკონი წაიყოლია. ერთ-ერთი გასეირნების დროს იგი პატრონს გაექცა და გამვლელი მანქანის ბორბლებ ქვეშ მოექცა. მომაკვდავი მეგობარი რალფმა ვეტერინარულ საავადმყოფოში გააქანა და იქაურ ექიმს 5 ათასი დოლარის გასამრჯელოს შეპირდა, თუ ძაღლს სიცოცხლეს შეუნარჩუნებდა, სამწუხაროდ, ექიმის ყველა ცდა უნაყოფო გამოდგა.

### ამან ზამთრის ოლიმპიადა უკვე გააგარა

**გუშინწინ სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციას (FIS) საბჭომ გამოიტანა ვერდიქტი რუსი ტრამპლინიდან მხტომელის დმიტრი ვასილიევის საქმესთან დაკავშირებით. ეს სპორტსმენი ერთი თვის წინათ აკრძალული პრეპარატის — ფუროსემიდის გამოყენებაში ამხილეს, მსოფლიო თასის ეტაპების მრავალგზის პრიზიორი მინიმალური ვადით — ორი წლით მოკვეთეს სპორტს. ვასილიევს უფლება აქვს იასპარეზოს საერთაშორისო ასპარეზობაში მხოლოდ 2003 წლის 4 იანვრიდან.**

### ბეკერი დანებდა – ბავშვი ჩემიაო

მაშ ასე, სახელგანთქმული გერმანელი ჩოგბურთელი ბორის ბეკერი ოთხშაბათს იძულებული გახდა განეცხადებინა: „რა გაეწყობა, ეტყობა, მართლაც მე ვარ ამ ბავშვის მამა. ყველაფერს გავაკეთებ, რათა ანის ბედნიერი ცხოვრება შევუქმნა“. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ლონდონში მცხოვრები რუსი ტოპმოდელის ანჟელა ერმაკოვას ქალიშვილისა და ბეკერის სისხლის ანალიზის იდენტიფიკაცია ოფიციალურად დადასტურდა.

**ჩოგბურთი**

# წინ ისევ ჰინგისია, კურნიკოვა კი მერვეზე დაბრუნდა



მარტინა ჰინგისი

8 თებერვალს ქალთა საჩოგბურთო ასოციაციამ გამოაქვეყნა უძლიერესი სპორტსმენების რეიტინგი. წინ ისევ ჰინგისია, კურნიკოვამ კი მერი პირსს გადაასწრო და ისევ მერვე ადგილზე მოკალათდა.

## მსოფლიოს უძლიერეს ქალთა ათეული

1 (1) მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) — 6105, 2 (2) ლინდსეი დევენპორტი (აშშ) — 5950, 3(3) ვინუს უილიამსი (აშშ) — 4094, 4 (4) მონიკა სელეში (აშშ) — 3521, 5 (5) სერენა უილიამსი (აშშ) — 2454, 6(6) კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) — 2404, 7(7) ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) — 2274, 8 (9) ანა კურნიკოვა (რუსეთი) — 2144, 9(8) მერი პირსი (საფრანგეთი) — 2125, 10 (10) — ამანდა კეტცერი (სამხ. აფ. რ-კა) — 1880.

**სროლა**

# კრისტინა ესებუა – მსოფლიო რეკორდსმენი!

**ეს სახელი და გვარი სროლის საერთაშორისო ფედერაციის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური მსოფლიო რეკორდების ცხრილში ამოვიკითხეთ. უკრაინის გუნდს — ქრისტინა ესებუას, ტატიანა დოროხოვას და ალა არინიას შემადგენლობით, კადეტთა (15 წლამდე) მსოფლიო რეკორდი შარშან, აგვისტოში, დაუმყარებია ჩეხეთის ქალაქ ნიმბურგში.**

ვინ არის ქრისტინა ესებუა? საქართველოს სროლის ფედერაციაში ამ გოგონას წარმომავლობის შესახებ ჯერჯერობით არაფერი იციან. არის ვარაუდი, რომ შესაძლოა იგი აფხაზეთიდან ლტოლვილი ერთ-ერთი ოჯახის წევრი იყოს. უკრაინას ხომ, ისევე როგორც რუსეთსა და სხვა ქვეყნებს, საქართველოდან უამრავმა დევნილმა შეაფარა თავი.

**ქალთა კრივი**



# რინგზე კვლავ ალი და ფრეზერი გამოვლენ

**ლეილა ალი და ჟაკი ფრეზერი — სახელგანთქმული პროფესიონალი მოკრივეების მუჰამედ ალისა და ჯო ფრეზერის ქალიშვილები, წლეულს, ივნისში ერთმანეთის წინააღმდეგ გამოვლენ რინგზე. ისინიც მშობლების კვალდაკვალ პროფესიული კრივით არიან გატაცებულნი და ქვემძიმე კატეგორიაში გამოდიან.**

# უელსის მარცხი, მაგრამ ჯენკინსის მეათასე ქულა

დაიწყო ევროპული რაგბის ელიტარული, „ექვს ერად“ ცნობილი შეჯიბრება. მის პირველ ტურში აშკარა ფავორიტმა ინგლისმა სტუმრად, კარდიფში ერთობ დამაჯერებლად დაამარცხა უელსი 44:15. ინგლისის უმთავრესმა მეტოქემ, საფრანგეთმა შინ რის ვაი-ნაჩრობით, მხოლოდ 16:6 აჯობა შოტლანდიას, ხოლო ირლანდიამ სტუმრადაც იოლად სძლია იტალია 41:22.

„ექვს ერს“ შარშანდლამდე „ხუთი ერი“ ერქვა. ეს ტურნირი 1910 წლიდან იმართება. იტალიის შემატებით შეჯიბრებას მხოლოდ სახელი გამოეცვალა, თორემ ძველებურადვე ევროპის ფაქტობრივი ჩემპიონატია.

კარდიფის „მილენიუმ სტედიუმზე“ ახალი, ინგლისში გაზრდილი გაზონი დააგეს. კლაივ ვუდვორდის შეგირდებმაც მშობლიურ ბალახზე თავიდანვე გაიჯეჯილეს და შესვენებამდე ოთხჯერ მოასწრეს უმწეო უელსელთა დალელოება 29:8.

თამაშის იერი არც მერე შეცვლილა. საბოლოოდ ინგლისის შუამარბ ვილ გრინვუდს სამი ლელო მოუგროვდა, 9 ნომერ მეტ დოუსონს კი ორი. კიდევ ერთი ლელო გარემარბმა ბენ კოენმა გაიტანა, ბურთის გამნაწილებელმა და კარში დამრტყმელმა ჯონი ვილკინსონმა კი ექვსი გოლით 14 ქულა მოიხვეჭა.

უელსის ლელოები 9 ნომერ რობ ჰაულისა და 8 ნომერ სკოტ ქვინელის ანგარიშზეა. და კიდევ, მასპინძელთა 29 წლის დამრტყმელმა ნილ ჯენკინსმა მოაგროვა 5 ქულა, რითაც სანაკრებო რაგბში მსოფლიოში პირველმა გადააბიჯა მაგიურ, 1000-ქულიან მიჯნას.

საფრანგეთს სენ-დენის „სტად დე ფრანსზე“ უამრავი ტექნიკური ხინჯი ჰქონდა, მამაცი სკოტები კი თანამედროვე ყაიდაზე ეძალებოდნენ მეტოქეს. სტუმართა ჭირად, ზედ შესვენების წინ მათ 10 წუთით გაუძევეს მარბიელი მარტინ ლეზლი, რასაც ის მოჰყვა, რომ ნაკლულმა გუნდმა მეორე ტაიმის დასაწყისში ჭაღარა ფრანგის, ფილიპ ბერნა-სალისგან ლელო გაუშვა.

კვანძი წამატებულ დროშიღა გაიხსნა. მანამდე ფრანგებმა ბრძოლაში ბარაქიანი რეზერვი ჩააბეს, სკოტებს კი ვეღარც ავანტიურამ უშველა. ჰოდა, მასპინძელთა დამრტყმელმა კრისტოფ „ტიტუ“ ლამეზონმა გადამწყვეტი საჯარიმო შეაგდო.

რომში, „სტადიო ფლამინიოზე“ გამარჯვებით ირლანდიამ ბოლო 13 წლის მანძილზე პირველად დაიწყო სეზონი მოგებით. მასპინძლებს აკლდა დიდი 10 ნომერი, 33 წლის არგენტინელყოფილი დიეგო „ჩიკო“ დომინგესი. მისმა შემცვლელმა რამირო პეცმა კარს სამი დარტყმა ააცილა, ხოლო სამი ლელო აქაც შუამარბმა, ირლანდიელმა რობ ჰენდერსონმა გაიტანა.

ზაალ გიგინეიშვილი



ინგლისელთა იერიშების სულისჩამდგმელ ჯონი ვილკინსონს უელსმა ვერაფერი დააკლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „კრამნიკი ხვალინდელი ჭადრაკის ვარსკვლავია"

**ასე ფიქრობს ცნობილი გერმანელი დიდოსტატი ლოთარ შმიდი. იგი ფართოდ ცნობილი პიროვნებაა ჭადრაკის სამყაროში. ცნობილ საბავშვო მწერალ კარლ მაის შვილიშვილი, ახლა ამავე სახელობის გამომცემლობის მფლობელია. იგი მსოფლიო პირველობის არაერთი მატჩის მთავარი მსაჯი იყო, მათ რიცხვში „საუკუნის ორთაბრძოლად" ცნობილი შერკინებისა რეიკიავიკში (1972) რობერტ ფიშერსა და ბორის სპასკის შორის. იგი წარმართავდა გარი კასპაროვისა და ანატოლი კარპოვის 1986 წლის მატჩსაც ლონდონსა და ლენინგრადში.**

**ლოთარ შმიდს ესაუბრება ჟურნალ „როხადეს" კომენტატორი დაგობერტ კოლმაიერი.**



● *რა ნახეთ ლონდონში ახალი ამ სტუმრობის დროს?*

— ჩემთვის ლონდონი ყოველგვარი გაგებით ელდორადოა. რა თქმა უნდა, საჭადრაკო თვალსაზრისითაც. ამასთან, მე ხომ ხელოვნების კომისიასაც ვხელმძღვანელობ.

● *რას იტყვით კასპაროვ-კრამნიკის მატჩის შესახებ?*

— ეს არის უახლოესი ხანების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საჭადრაკო ასპარეზობა. ისინი ხომ მსოფლიოში უძლიერესი მოჭადრაკეებია, რასაც თუნდაც მათი პირადი რეიტინგებიც გვიჩვენებს. კასპაროვი ახლაც ყველაზე უკეთეს შედეგებს ინარჩუნებს, კრამნიკის მაჩვენებლები კი მეორეა. ამიტომაც ჰქონდა ამ დუელს ესოდენი მნიშვნელობა.

● *ეს საკითხის ერთი მხარეა. ამასთან, ფიდემ არ სცნო ეს მატჩი მსოფლიო პირველობის ორთაბრძოლად.*

— ძალზე სამწუხაროა, რომ ერთის მხრივ, ფიდემ და მეორე მხრივ, მოჭადრაკეებმა ვერ გამონახეს საერთო ენა მსოფლიო პირველობის ჩასატარებლად. ჩვენ ბევრი უნდა ვეცადოთ, რომ საჭადრაკო სამყარო კვლავ გავაერთიანოთ. ისეთი შეჯიბრება უნდა გაიმართოს, რომელსაც ყველა აღიარებს.

● *თქვენ დიდი ხანია იცნობთ კასპაროვსა და კრამნიკს. თუ შეიძლება, დაგვიხასიათეთ ისინი.*

— მე, როგორც მიმომხილველი, ობიექტური უნდა ვიყო. უნდა მოგახსენოთ, რომ კასპაროვს „უგვირგვინო მეფედ" ვთვლი. მან ხომ თავისი ადრინდელი მეტოქე ანატოლი კარპოვი არაერთხელ დაამარცხა და დაამტკიცა, რომ მსოფლიოში ბადალი არა ჰყავდა. გარდა ამისა, მან ხომ მრავალ საერთაშორისო ტურნირშიც გაიმარჯვა. მისი ერთადერთი სერიოზული მოწინააღმდეგე 2001 წლის საერთაშორისო ტურნირებში ისევ ახლანდელი მსოფლიო ჩემპიონი ვლადიმირ კრამნიკი იქნება. მან ხომ დორტმუნდის ძლიერ საერთაშორისო ტურნირში ზედიზედ ხუთჯერ გაიმარჯვა. კრამნიკი ძალიან სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს. იგი მეგობრულია, ელეგანტური და მორიდებული — ხვალინდელი ჭადრაკის ნამდვილი ვარსკვლავია. კრამნიკი ძალიან წყნარი და საკუთარ ძალებში დარწმუნებულია, კასპაროვი კი მუდმივად გაღიზიანებული კაცის შთაბეჭდილებას სტოვებს. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ კასპაროვი გენიოსია, რომლის უარყოფითი თვისებები დადებითებს ემატება და ავსებს.

● *რა პრობლემებს ხედავთ ჭადრაკში კომპიუტერის შეჭრაში?*

— კომპიუტერს შეუძლია ჭადრაკისათვის კარგი და საინტერესო როლი შეასრულოს, მაგრამ ამასთან, ხიფათიც შეუქმნას. ეს განსაკუთრებით მიმოწერით ჭადრაკში შეინიშნება. სუსტი მოჭადრაკეც რომ იყო და კარგი კომპიუტერი გქონდეს, შეგიძლია გაცილებით უფრო ძლიერ მეტოქეს მოუგო. ეს მიმოწერით ჭადრაკს საერთოდ განადგურებას უქადის.

რაც შეეხება ნორმალურ სატურნირო თამაშს, აქ კომპიუტერის როლი იმდენად მნიშვნელოვანი არ არის. წინასწარ არავინ იცის, რა ვარიანტს აირჩევს მეტოქე. მოწინააღმდეგეს ხომ შეუძლია ისეთი სვლა აირჩიოს, რომელსაც კომპიუტერი არ ითვალისწინებს.

● *ჰერ შმიდ! თქვენ 73 წლის ხართ. როდემდე აპირებთ ჭადრაკში მოღვაწეობას და თანაც თქვენი გამომცემლობის გაძღოლას?*

— ჩემი ცხოვრება სწორედ ამ ორი საქმიანობის ერთობლიობისაგან შედგება. მე მას კარგად ვუძღვებოდი, თუმცა, ორი საქმის კეთება იოლი არ იყო. ჭადრაკმა ჩემს ძირითად, გამომცემლის პროფესიას ხელი არ შეუშალა.

● *თქვენი გატაცების საგანი, ჰობი...*

— დიახ, ეს არის ჩემი უზარმაზარი საჭადრაკო ბიბლიოთეკა. გარდა ამისა, მე თუ დრო გამოვნახე, ერთი ან ორი წიგნის დაწერასაც ვაპირებ.

● *ჭადრაკზე?*

— დიახ, იმაზე, რაც წლების განმავლობაში ვნახე და განვიცადე. ჩემს ყმაწვილობაში ბედნიერება მქონდა გამეცნო დიდი ალექსანდრ ალიოხინი. იმ ბედნიერ დროში შევხვდი ისეთ სახელოვან მოჭადრაკეებს, როგორნიც იყვნენ ბერნშტეინი და ვიდმარი. მე თერთმეტ საერთაშორისო ოლიმპიადაში მივიღე მონაწილეობა, საერთაშორისო ტურნირებში კი ნაკლებად ვთამაშობდი.

● *თქვენ ხომ მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების მსაჯიც იყავით?*

— ეს იყო 1971 წელს, როცა ბუენოს-აირესში ფიშერი და პეტროსიანი პრეტენდენტთა მატჩში შეხვდნენ ერთმანეთს. ფიდეს იმდროინდელმა პრეზიდენტმა, პროფესორმა მაქს ეივემ მკითხა, ხომ არ გავუძღვებოდი იმ მატჩს, რახან მე ორივე მეტოქეს კარგად ვიცნობდი და არც იმათ ჰქონდათ რაიმე ჩემი საწინააღმდეგო. მე დავეთანხმე ფიდეს პრეზიდენტს. ასე დაიწყო ჩემი სამსაჯო კარიერა.

● *ფიშერი მაშინაც თავისებურად იქცეოდა?*

— დიახ. მე ძალიან კარგად მახსოვს, რომ შუა მატჩის დროს მან ის სასტუმრო დატოვა, სადაც მონაწილეები ცხოვრობდნენ. როდესაც ვკითხე, რატომ მოიქცა ასე, მიპასუხა: „როცა პეტროსიანი ლიფტში მხვდება ხოლმე, ძალზე ტრაგიკულ სახეს იღებს". ეს იყო მისი ერთადერთი განმარტება. მივხვდი, როგორი მძიმე იქნებოდა ამ თავისებურ პიროვნებასთან ურთიერთობა და მატჩის გაძღოლა.

● *შემდეგ თქვენ უძღვებოდით ფიშერისა და სპასკის მატჩს 1972 წელს რეიკიავიკში. ისეც ძნელი იქნებოდა.*

— დიახ, მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ასეთი სიძნელეები არა მქონია. ფიშერმა ბევრი მოთხოვნა წამოაყენა, რომლებიც უნდა გაგვეთვალისწინებინა.

● *მაინც როგორი იყო ეს მოთხოვნები?*

— იგი მოითხოვდა სცენის ახლოს არავითარი ტელეკამერებით არ ყოფილიყო გადაღება. ეს მას ძალზე აღიზიანებდა. რეიკიავიკში, სატურნირო დარბაზს 2500 გულშემატკივარი ავსებდა. იგი მეორე პარტიაზე საერთოდ არ გამოცხადდა. ძალზე სამწუხარო იყო, მაგრამ იძულებული ვიყავი მისთვის ნოლი ჩამეწერა.

● *შემდეგ რაღა მოხდა?*

— ბობის უნდოდა მაინცდამაინც დახურულ ოთახში, მაყურებლების გარეშე ეთამაშა. მე ვუთხარი, რომ ეს საერთოდ შეუძლებელი იყო.

თუ ფიშერის მონაწილეობით მატჩის წარმართვა იოლი საქმე არ იყო, სამაგიეროდ, არც ერთი წამყვანი დიდოსტატი ლოთარ შმიდს რაიმე სიძნელეს არ უქმნიდა. ამიტომ იწვევდნენ და ახლაც იწვევენ ცნობილ გერმანელ დიდოსტატს ბევრი პირველხარისხოვანი შეჯიბრების მთავარ მსაჯად.

*გერმანულიდან თარგმნა*
*გივი გამრეკელმა*


**საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია აცხადებს**

**კონკურსს შემდეგი თანამდებობის დასაკავებლად**

**ფიზიოლოგიისა და ბიოქიმიის კათედრაზე:**

1. კათედრის გამგის, პროფესორის — 0,5 განაკვეთზე, ფიზიოლოგიის სპეციალობით.

**სპორტმედიცინის კათედრაზე:**

1. კათედრის გამგის, პროფესორის თანამდებობაზე — 0,5 განაკვეთზე — სპორტული მედიცინის სპეციალობით.
2. უფროსი მასწავლებლის — 1 ერთეული, სპორტული მასაჟის სპეციალობით.
3. მასწავლებლის — 1 ერთეული სორტული მედიცინის სპეციალობით.
4. უფროსი მასწავლებლის 1 ერთეული სპორტული მედიცინის სპეციალობით.

**წყალთა სახეობის კათედრაზე:**

1. კათედრის დოცენტის — 1 ერთეული, წყალბურთის სპეციალობით.

**ჭიდაობის, ძალოსნობისა და კრივის კათედრაზე:**

1. კათედრის უფროსი მასწავლებლის — 1 ერთეული, ძალოსნობის სპეციალობით.

**ტანვარჯიშის კათედრაზე:**

1. კათედრის უფროსი მასწავლებლის — 1 ერთეული, აკრობატიკის სპეციალობით.

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა.

მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №49.
ტელეფონი: 23.09.02 — კადრების განყოფილება.


## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**9 თებერვალი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (15.15), ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. სუპერლიგა (14.40), ტაილანდური კრივი (16.40), ჩოგბურთი. დევისის თასი (18.00), ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (7.00, 9.00, 1.00), „რაგბის სამყარო" (17.30), ფეხბურთი. „ისლანდიის საფეხბურთო ლიგის მიმოხილვა (18.30), ***EUROSPORT.*** ზამთრის სპორტის სახეობები: მსოფლიო თასი (11.30), ბიატლონი (14.00, 18.00, 22.30), ფეხბურთი. გერმანიის თასი (17.30), კალათბურთი. ევროლიგა (22.00), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (18.00), ***НТВ плюс футбол.*** ჰოლანდიის (14.25, 19.40), საფრანგეთის (16.40, 1.20), შოტლანდიის (17.40), ევროპის ქვეყნების (21.25), გერმანიის (23.10) ჩემპიონატები და მიმოხილვა.

**10 თებერვალი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის წინ (19.00), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი" (22.00), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00), ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. ევროლიგა (11.40), ბილიარდი. მსოფლიო ჩემპიონატი (15.10), კალათბურთი. ნბა (15.40, 17.15), სპორტული ცეკვა. მსოფლიო ჩემპიონატი (16.15), წყალბურთი. ჩემპიონთა ლიგა (20.55), „დიდი რინგი" (22.00), ***ESPN.*** ცხენოსნობა. დაიჯესტი (7.00), კალათბურთი. ნბა (9.00, 17.30), ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (2.30), ***EUROSPORT.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო ჩემპიონატი (16.00, 1.30, 17.30, 22.00, 23.00), ცხენოსნობა. მსოფლიო თასის ეტაპი (0.00), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (1.00), ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის (13,15, 18.25), ევროპის ქვეყნების (15.00), შოტლანდიის (16.40, 20.40), „მუნდიალის" (22.35), იტალიის ან ესპანეთის (23.25, 1.35) ჩემპიონატები და მიმოხილვა.

**11 თებერვალი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** „მუნდიალი" (18.50), ***რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (19.20), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი" (23.30), ***НТВ плюс спорт.*** წყალბურთი, ჩემპიონთა ლიგა (14.15), ჩოგბურთი. დევისის თასი (17.00), ტაილანდური კრივი (1.30), კალათბურთი. ნბას მიმოხილვა (2.25, 2.55), ***ESPN.*** ფეხბურთი: იტალიის (9.00, 19.00), აზიის (12.30), ჩემპიონთა ლიგის წინ (21.00), ესპანეთის (2.00) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***EUROSPORT.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი. (13.45, 20.00, 21.00), მსოფლიო ჩემპიონატი. ციგურაობა (17.00, 22.00), ციგაობა (23.00), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (1.00), ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის (13.15), იტალიის (15.00, 23.30), „მუნდიალის" (16.40), შოტლანდიის (17.10), ესპანეთის (1.35), ჩემპიონთა ლიგის წინ (21.00, 21.5).


**ყურადღება!**

თბილისში, „მაცნეს" ჯიხურებში „ლელო" ვრცელდება გაზრდილი ტირაჟით. ყოველ ორშაბათს მოიკითხეთ „ლელოს" ყოველკვირეული დამატება **„ქართული ფეხბურთი"**, რომელშიაც ქვეყნდება ქართული და მსოფლიო ფეხბურთის ცინცხალი ამბები (გაზეთი იბეჭდება ორშაბათობით, დილის 5 საათზე). სამუშაოდ ვიწვევთ ამ გამოცემის ხელზე გამავრცელებლებს.

**გსურთ სამ თვეში უცხო ენის შესწავლა?**

მიაკითხეთ „ელიტა სკ"-ს. ენის საუკეთესო სპეციალისტები შეგასწავლიან ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ, ესპანურ, თურქულ და რუსულ ენებს.
გსურთ კომპიუტერის შესწავლა?
მიაკითხეთ „ელიტა სკ"-ს

ERC

„ელიტა სკ"
ELITE-RC CO.LTD
უცხო ენების და კომპიუტერის სწრაფი კურსები

თბილისი-380077, ვაჟა-ფშაველას 44 (მ. დელისი), ტელ.: 39-87-25,
E-mail: erc@caucasus.net


**ვანო ჯანაშვილს!**

ვულოცავ 50 წლისთავს, ვუსურვებ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

„ქეიმ"

## კროსვორდი №11



**თარაზულად:** 1. წარსულში ქართველი ჩოგბურთელი ვაჟი, 5. თურქეთის საფეხბურთო ნაკრების წევრი, 6. მოკრივეთა ასპარეზი, 9. გორის საფეხბურთო კლუბი, 10. წარსულში რუსი მძლეოსანი ქალი, 12. აბაშის საფეხბურთო კლუბი, 16. წარსულში ცნობილი აფრიკელი სტაიერი, 17. 60-იანი წლების თბილისის „დინამოს" ფეხბურთელი, მეკარე, 18. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თავკაცი, 21. მადრიდის „რეალის" ფეხბურთელი, 22. ნბა-ს ვარსკვლავი, 25. ინგლისის საფეხბურთო ნაკრების ფერადკანიანი ნახევარმცველი, 26. იტალიის სერია B-ს კლუბი, 27. ყირგიზეთის საფეხბურთო გუნდი, 30. ტერმინი რაგბში, 31. სპორტულ ტოტალიზატორში დადებული თანხა, 32. სპორტულ თამაშებში, დამატებითი დრო.

**შვეულად:** 1. წარსულში ინგლისის საფეხბურთო ნაკრების მცველი, კაპიტანი, 2. იტალიელი გულშემატკივარი, 3. წარსულში სომეხი მძლეოსანი, 4. ინდოეთში აღმოცენებული ფიზიკური ვარჯიშების მიმდინარეობა, 7. ილეთი სპორტულ თამაშებში, 8. ჭადრაკის ქალმერთი, 9. უნგრეთის საფეხბურთო კლუბი, 11. ინგლისის პრემიერლიგის საფეხბურთო კლუბი, 13. პორტუგალიის მეორე დივიზიონის საფეხბურთო კლუბი, 14. სპორტული ნავი, 15. საჭადრაკო ფიგურა, 19. ამერიკელი ჩოგბურთელი ვაჟი, 20. ნბა-ს ვარსკვლავი, 23. წარსულში ქართველი მოჭიდავე, ამჟამად შსს-ს ფუნქციონერი, 24. წარსულში „ფორმულა 1"-ის პილოტი, 28. „... ვალეკანო", 29. რუმინელი საფეხბურთო მწვრთნელი.

## №10 კროსვორდის პასუხები:

**კროსვორდი A. თარაზულად:** 1. იმოლა, 3. „ზარია", 5. ასანიძე, 7. „იგლსი", 8. ელსტი, 9. ფინტი, 11. ბუბკა, 13. ამორუზო, 14. „აზოტი", 15. ივანი. **შვეულად:** 1. იონკი, 2. ატაცი, 3. ზოიძე, 4. ათენი, 5. ატლანტა, 6. ეისებიო, 9. ფილია, 10. იპონი, 11. ბრუნი, 12. ალეზი.

**კროსვორდი B. თარაზულად:** 1. ბადრო, 3. „პორტო", 5. სიომინი, 7. არიკა, 8. ილეთი, 9. ატაცი, 11. „ბრედა", 13. ივანოვი, 14. იორკი, 15. „იტერა". **შვეულად:** 1. ბოისა, 2. ოკოჩა, 3. პაიკი, 4. ოსერი, 5. სკილაჩი, 6. „იმერეთი", 9. აჭიმი, 10. ირანი, 11. ბლოკი, 12. აიალა.

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. ლf8! მუქარა 2. ლc5X.
1. ...მფ:e5 2. კc3X.
1. ...მფe3 2. ლ:f2X.
1. ...e3 2. ლf4X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდაშნიძე.